ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2016 წელი, 19 აგვისტო, №14 (6427)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 40 თეთრი




**ტროპარი:** მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო, და უჩუენე მოწაფეთა შენთა დიდებაჲ შენი ძალისაებრ მათისა და გამოგვიბრწყინვე ჩუენცამ ცოდვილთა ნათელი შენი მიუაჩრდილებელი, მეოხებითა ღმრთისმშობელისათა ნათლისა მომცემელო უფალო, დიდება შენდა.

**კონდაკი:** მთასა ზედა ფერი იცვალე ქრისტე ღმერთო და რაოდენ ძალ-ედვა მოწაფეთა შენთა, დიდებაჲ შენი უჩუენე. რათა რაჟამს იხილონ ჯუარცმაჲ შენი, გულისხმა ჰყონ, ვითარმედ ვნებაჲ იგი ნებსით არს და სოფელსა უქადაგონ, ვითარმედ შენ ხარ ჭეშმარიტად ბრწყინვალებაჲ მამისა.

## ფერისცვალება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

* * *

ფერისცვალება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მათე, მარკოზ და ლუკა მახარებლები მოგვითხრობენ, რომ იესო ქრისტემ თავისი სამი მოწაფე: პეტრე, იაკობი და იოანე მაღალ მთაზე აიყვანა და მათ წინაშე ფერი იცვალა: „და გაბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“ (მათე; 17,2). ლუკა მახარებელი კი გვეუბნება, რომ ქრისტეს ფერისცვალება ლოცვისას მოხდა: „და იყო ლოცვასა მას მისსა ხილვა პირისა მისისაჲ სხუა და სამოსელი მისი სპეტაკ და ელვარე“ (ლუკა; 9,29). მაცხოვარმა ფერი იცვალა მოწაფეთა რწმენის განსამტკიცებლად, რათა ისინი, როცა მოძღვრის ჯვარცმასა და სიკვდილს იხილავდნენ, მიმხვდარიყვნენ, რომ ეს ყოველივე კაცობრიობის ცოდვებისაგან გამოხსნისათვის იყო აუცილებელი.

როცა იესო ქრისტე მოციქულებს თავისი ღვთაებრივი დიდებით წარმოუდგა, მის გვერდით წინასწარმეტყველნი, მოსე და ელია იდგნენ: „და აჰა ეჩუენნეს მათ მოსე და ელია მის თანა და თანაზრახვიდეს“ (მათე 17.3). მახარებელი ლუკა იმასაც გვამცნობს, თუ რაზე ესაუბრებოდნენ ისინი უფალს: „იტყოდეს განსლვასა მას მისსა, რომელი ეგულებოდა აღსრულებად იერუსალჱმს“ (ლუკა; 9,31). განსვლაში აქ იგულისხმება სიკვდილის მეშვეობით ქრისტეს წასვლა მიწიერი ცხოვრებიდან, მისი აღდგომა და ზეცად ამაღლება.

მოციქულმა პეტრემ სთხოვა მოძღვარს, სამი კარავი დაედგათ ამ წმიდა ადგილას: „უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ და თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მოსესა და ერთი ელიაჲსა“ (მათე; 17,4). მახარებელი მარკოზი უმატებს: „რამეთუ არა იცოდა, რაჲმცა მიუგო, რამეთუ იყვნეს შეშინებულ“ (მარკოზი; 9.6). იოანე ოქროპირის აზრით, პეტრეს სიტყვები, რომლითაც მან ქრისტეს მიმართა, მოწაფის სიყვარულსა და ამაღლებულ სულიერ მდგომარეობაზე მეტყველებს, რომლის მიზეზიც ხილვა იყო. არც მოციქულების შიშია გასაკვირი: ღვთაებრივ სილამაზესა და არამიწიერ სანახაობას შეეძლო, შეეშინებინა ისინი. უცებ გამოჩნდა ნათლის ღრუბელი და ღრუბლისაგან მოისმა ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ, მაგისი ისმინეთ“ (მათე; 17,5).

შიშისაგან პირქვედამხობილ მოციქულებთან იესო მივიდა, ხელი შეახო და უთხრა: „აღდეგით და ნუ გეშინინ“. როცა მათ თვალი გაახილეს, აღარსად იყვნენ მოსე და ელია, იესო მარტო იყო.

სახარებაში არსად არაა მითითებული, კერძოდ რომელ მთაზე ავიდა მაცხოვარი მოწაფეებთან ერთად. კირილე იერუსალიმელთან და იერონიმესთან გვხვდება ცნობა იმის თაობაზე, რომ ეს იყო თაბორის მთა. VI-VII საუკუნეებში მცხოვრები ზოგიერთი მოგზაური გვიდასტურებს, რომ მათი დროისათვის თაბორის მთაზე სამი ეკლესია იდგა თანახმად მოციქულ პეტრეს თხოვნისა, რომლითაც მან მაცხოვარს მიმართა.

**„წმიდანთა ცხოვრება“, ტომი III, თბილისი, 2001 წ.**
**წყარო:** Orthodoxy.Ge

## ფერისცვალების დღესასწაული ერთ-ერთ ყველაზე აღმატებულ დღესასწაულად ითვლება ქრისტიანულ სამყაროში

*მაცხოვრის ფერისცვალების დღესასწაული 19 აგვისტოს აღინიშნება და იგი ერთ-ერთ განსაკუთრებულ სასწაულს უკავშირდება, რაც იესო ქრისტემ ამქვეყნად აღასრულა. უფალმა ფერისცვალება იმისთვის ინება, რომ მოციქულებისა და ყოველი მორწმუნისათვის მომავალი ცხოვრების საიდუმლო ეჩვენებინა. გვასწავლა, რომ თითოეულმა ადამიანმა სიცოცხლეშივე უნდა დაიწყოს მზადება და შეუდგეს სულიერ ფერისცვალებას, რათა დაიმკვიდროს ღვთის სასუფეველი.*

*რა საიდუმლოებას მოიცავს მაცხოვრის ფერისცვალება, რა არის ჩვენი სულიერი ფერისცვალებისათვის საჭირო და როგორ უნდა შევხვდეთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს, ამ და სხვა კითხვებზე გვესაუბრება ქ. ყვარლის წმიდა იოანე ნათლისმცემლის ტაძრის მოძღვარი — დეკანოზი ბენიამინ ჩიხორლიშვილი.*

**— ფერისცვალების დღესასწაული ერთ-ერთ ყველაზე აღმატებულ დღესასწაულად ითვლება ქრისტიანულ სამყაროში. რა ნიშვნელობა აქვს ამ დღეს ქრისტიანების ცხოვრებაში?**

— დიახ, ფერისცვალების დღესასწაული 12 უდიდეს დღესასწაულთაგან ერთ-ერთი გამორჩეულთაგანია. ამ დღეს თაბორის მთაზე იესო ქრისტემ სამი მოწაფის — პეტრეს, იაკობისა და იოანეს წინაშე ფერი იცვალა და თავისი ღვთაებრივი დიდებულება აჩვენა. მაცხოვარმა ეს სასწაული აღასრულა მოწაფეთა რწმენის გასამტკიცებლად. უფალ იესო ქრისტეს, ფერისცვალებიდან 40 დღის შემდეგ, ტანჯვა და ჯვარცმით სიკვდილი ელოდა და, რაჟამს იხილავდნენ მოწაფეები მის ჯვარცმას, მათ არ უნდა ეფიქრათ, რომ მისი ვნება და ტანჯვა ადამიანური უძლურების გამო ხდებოდა და მას ამ სატანჯველისგან განთავისუფლება არ შეეძლო, არამედ უნდა სცოდნოდათ, რომ ჯვარცმა იესომ თავისი ნებით მიიღო კაცობრიობის ცოდვათაგან გამოსახსნელად და სოფლისათვის უნდა ექადაგად, რომ იგი იყო ჭეშმარიტად ძე ღმრთისა ცხოველისა.

მოწაფეებმა მაცხოვართან მოსაუბრე ძველი აღთქმის ორი უდიდესი წინასწარმეტყველი — მოსე და ელია იხილეს და, როგორც წმიდა მაქსიმე აღმასრულებელი წერს, „ უფლის ფერისცვალებისას თაბორის მთაზე ნაჩვენები იქნა ცხონების სამი გზა: სათნოების, შემეცნებისა და ღვთისმეტყველებისა. პირველი ორი გზა ელიასა და მოსეს სახით წარმოჩინდა, ხოლო ღვთისმეტყეველებას თავად მაცხოვარი წარმოადგენდა“.



მოწაფეები, რომლებიც ყოველივე ამ დიდებული სანახაობის ღირსნი გახდნენ, ფაქტიურად გაოგნებულნი დარჩნენ და მათი გულები იმის ფიქრით იყო მხოლოდ გამსჭვალული, რომ ასეთი მარადიული ნეტარებით გამოწვეული სიხარული განიცადეს: იესოს, მათ მოძღვარს, შესამოსელი გაუხდა თეთრი და სპეტაკი, ვითარცა თოვლი, ხოლო სახე მისი კი ბრწყინავდა ვითარცა მზე და მამა ღმერთიც ღრუბლითგამო ხმობდა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი“.

აღფრთოვანებული პეტრე მოციქულის სიტყვები: „კეთილ არს აქა ჩვენდა ყოფაი“, გამოხატავს მოწაფეთა უდიდეს სურვილს, უსასრულოდ გაგრძელდეს ფერისცვალების დრო. პეტრე სთხოვს უფალს, რომ გააკეთონ სამი კარავი: ერთი — უფლისთვის, მეორე — მოსესთვის, მესამე — ელიასთვის და იქ სამუდამოდ დარჩნენ. მაგრამ მაცხოვრის ფერისცვალება, როგორც ზეციური სასუფევლის სიხარული, მხოლოდ წუთიერად გაგრძელდა ქრისტეს მოწაფეთათვის. სასუფევლის დასამკვიდრებლად მათ დასჭირდათ ცხოვრებისეული თავგანწირვა, მოციქულებრივი ღვაწლი და მოწამეობრივი აღსასრული. მაცხოვრისათვის თაბორმა წინ უსწრო გოლგოთას, ხოლო მოწაფეთათვის და ყოველი ქრისტიანისათვის კი პირიქითაა, გოლგოთა წინ უსწრებს თაბორს.

წმინდა მამების თქმით, ქრისტიანის ცხოვრებაში არსებობს საკუთარი თაბორი, ე. ი. უფალთან შეხვედრა და საკუთარი გოლგოთა, ე.ი. ჯვარი და სატანჯველი. თაბორი არამიწიერი ნეტარებისა და აღფრთოვანების წუთებია და იმისათვის ეძლევა იგი ადამიანს, რომ ქრისტიანულმა სულმა, რომელიც ამგვარ მდგომარეობას გამოცდის, შემდგომში მშვიდად მიიღოს თავისი გოლგოთა, რომელიც აუცილებელია ჩვენი გულიდან ვნებებისა და ცოდვების ამოსაძირკვად.



**— როგორც ცნობილია, თაბორის მთაზე, სადაც დღეს ფერისცვალების მონასტერია, ყოველი წლის 19 აგვისტოს სასწაული ხდება.**

— თაბორის მთა აღმართულია გალილეის ცენტრში, მისი სწორი, ნარნარი მოხაზულობა წმინდა მიწის თითქმის ყოველი მხრიდან მოჩანს. იგი დაბლობზე ოკეანიდან ამომართული კუნძულივითაა ამაღლებული.სწორედ ამ მთის წვერზე მოხდა უდიდესი სახარებისეული მოვლენა — ფერისცვალება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა — იესო ქრისტესი. მის აღსანიშნავად წმინდა მოციქულთა სწორმა — ელენე დედოფალმა აქ აღმართა ტაძარი, რომელსაც ისეთივე ბედი ეწია, როგორც სხვა მრავალ ტაძარს წმინდა მიწაზე — იგი დაანგრიეს.

მართლმადიდებლური ტაძარი თაბორის მთაზე 1911 წელს ისევ განახლდა. ეკლესიის საკურთხეველი ზუსტად იმ ადგილას მდებარეობს, სადაც მოხდა უფლის ფერისცვალება. საკურთხეველის ერთი კედელი, როგორც ვარაუდობენ, დარჩენილია მე-4 საუკუნის უძველესი ტაძრიდან.

მას შემდეგ, რაც უფალმა ფერი იცვალა თაბორის მთაზე, უკვე 20 საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ დღემდე, ყოველ 19 აგვისტოს (ძვ.სტ.6 აგვისტოს) იულიუსის კალენდრით, მზიან, უღრუბლო ამინდში ამ მთას თეთრი, ქათქათა ღრუბელი ადგება, რომელსაც იქ მყოფი მორწმუნეები ხელით ეხებიან. წირვის დასრულების შემდეგ კი ღრუბელი ნელ-ნელა იფანტება და იგი ყოველწლიურად ახსენებს ადამიანებს იმ სახარებისეულ ნათლის ღრუბელს და მისგან გამომავალ ღვთაებრივ ხმას მამისას: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი ძე სათნო — ვიყავ; მაგისი ისმინეთ!

**— 19 აგვისტოს, ეკლესიაში წირვის დამთავრების შემდეგ, ყოველთვის იკურთხება ხილი. რა სიმბოლური დატვირთვა აქვა მას?**

— ფერისცვალების დღესასწაულზე, ყველა მოქმედ ტაძარში ხილი იკურთხება. ხილის შეწირვისა და კურთხევის ეს ტრადიცია სათავეს იღებს ძველი აღქთმიდან, როცა მიწათმოქმედმა აბელმა უფალს ხილი შესწირა.

უფალმა ადამიანებს სამოქმედოდ და საშრომლად მიწა მისცა. ამიტომ პირველი ადამიანები, რასაც ამ მიწიდან შრომის შედეგად ნაყოფის სახით იღებდნენ, მის გარკვეულ ნაწილს, მადლობის ნიშნად, უფალს სწირავდნენ. ეს კეთილი ტრადიცია ჩვენში დღემდე შემორჩა. მართალია, დღეს შეიძლება ჩვენი შრომით არ მოგვყავს ესა თუ ის ხილი, მაგრამ მისი შეძენა ხომ იგივე ჩვენი შრომის, შემოსავლის საფუძველზე ხდება. მოსავლის გარკვეული ნაწილი ეკლესიაში უძველესი დროიდან იწირებოდა. ეს იქნებოდა ხორბალი, რომელსაც სეფისკვერების გამოსაცხობად იყენებდნენ ყურძენი — საზარძიმე ღვინის დასაყენებელად, ზეთი — კანდელისათვის და ცვილი — რომლისაგანაც სანთელს ამზადებდნენ. ეს იყო ღვთის სამადლობელი და ეკლესიისადმი შესაწირი.

ფერისცვალებისას მრევლს ტაძარში მოაქვს ხილი, რომელიც იკურთხება და მას სწირავენ ეკლესიას, ან ნაწილი ისევ სახლში მიაქვთ.

**გაგრძელება მე-3 გვ. -ზე**



# რა ბედი ელის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას — დავით სერგეენკოს კომენტარი

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ შეიცვლება და არ დაბრუნდება მიზნობრივ ჯანდაცვაზე, — ამის შესახებ ჟურნალისტებს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ „ექსპო ჯორჯიაში" განუცხადა, სადაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ და მსოფლიო ბანკმა ღონისძიება სახელწოდებით „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პროგრესი და საერთაშორისო შეფასება" გამართეს.

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ აღნიშნა, დღეს არის საშუალება, რომ სამი წლის განმავლობაში ჯანდაცვის მიმართულებით გატარებული რეფორმები ერთიანად შეფასდეს ისეთი ყველაზე უფრო ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და მსოფლიო ბანკი.

„მათ აქვთ ძალიან ნათელი, აღქმადი გზავნილები, რომლებიც არის ორი მიმართულებით. პირველი, რომ რეფორმა სწორია და მიმართულება, რომელიც ჯანდაცვის სისტემას აქვს აღებული, სწორია. ძირითადი მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია. რჩება გამოწვევები, რომელზეც ჩვენ გვექნება ძალიან დეტალური განხილვა", — განაცხადა დავით სერგეენკომ.

„რეფორმების ცვლილებები მიმართული იქნება იქითკენ, როგორიცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პოლიტიკა, რომ არსებული ბიუჯეტის ფარგლებში მოსახლეობამ უფრო მეტი სარგებელი მიიღოს. ეს გამოიხატება ორი მიმართულებით: პირველი — განახლება მოხდება კერძო დაზღვეულებისა და საყოველთაო ჯანდაცვის მონაწილეების ბაზების, რაც მნიშვნელოვან თანხებს გამოათავისუფლებს და მიმართული იქნება მთავარი გამოწვევისკენ როგორიცაა ის მედიკამენტები, რომელიც პაციენტმა მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა სვას ქრონიკული დაავადებების გამო. რაც შეეხება სტაციონარულ კომპონენტს, როდესაც პაციენტი მკურნალობს, მას რა თქმა უნდა, მედიკამენტებს აუნაზღაურებს სახელმწიფო", — განაცხადა დავით სერგეენკომ.

ღონისძიებას ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სამედიცინო საზოგადოება დაესწრო.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, გაიზარდა სახელმწიფო ხარჯებით დაფინანსებული სერვისების არეალი, შემცირდა ჯანდაცვაზე ჯიბიდან გადახდების წილი, გაიზარდა ამბულატორიული ვიზიტები ერთ სულზე და სხვა.

კვლევის შედეგების მიხედვით, გაიზარდა სახელმწიფო ხარჯებით დაფინანსებული სერვისების არიალი: 2012 წელს 41% იყო , 2015 წელს — 95%, შემცირდა ჯანდაცვაზე ჯიბიდან გადახდების წილი: 2012 წელს — 65% იყო, 2014 — 57%.

# რა უნდა გაითვალისწინოთ საზამთროს და ნესვის შეძენისას



სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს ინსპექტორებმა სავაჭრო ობიექტებში სარეალიზაციოდ გამოტანილი ბაღჩეული კულტურები შეამოწმეს. როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში განმარტავენ, სეზონურობიდან გამომდინარე, აქცენტი საზამთროსა და ნესვზე გაკეთდა, რადგან ზაფხულში ამ პროდუქტების მოხმარება განსაკუთრებით დიდია.

მათივე ინფორმაციით, შემოწმებისას დადგინდა, რომ საზამთროსა და ნესვში ნიტრატების შემცველობა დასაშვებ ნორმას არ აღემატება; გამოვლინდა მცირედი შეუსაბამობა, რაზეც რეალიზატორმა გაითვალისწინა სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორების რეკომენდაცია და პროდუქცია რეალიზაციიდან ამოიღო.

სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს.

სურსათის ეროვნული სააგენტო ურჩევს მოსახლეობას, ყურადღება მიაქციოს საზამთროსა და ნესვის კანს — ის არ უნდა იყოს დარბილებული და დაზიანებული; დაჭრამდე კი აუცილებელია მისი კარგად გარეცხვა.

# ოთარ დანელია: საქართველოში ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების მზარდი ტენდენციაა

საქართველოში ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების მზარდი ტენდენციაა – ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ „ამბასადორიალი 2016"-ის ფარგლებში, საქართველოს ტექნოლოგიურ პარკში, ეკონომიკური დიპლომატიის საკითხებზე სამუშაო სესიაზე ისაუბრა.

მინისტრმა ყურადღება ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მნიშვნელობაზე გაამახვილა და აზიის ქვეყნებთან, მათ შორის ჩინეთთან, იაპონიასთან, კორეასთან სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით მიღწეულ შედეგებზეც ისაუბრა.

„ქართული თხილის, კივის, ლურჯი მოცვის, მწვანილისა და სხვა მცენარეული წარმოშობის პროდუქტების ექსპორტი შეუფერხებლად ხორციელდება. აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სურსათის უვნებლობის სტანდარტების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მიმართულებით. უმნიშვნელოვანესია ის შედეგები, რაც ბაზრების დივერსიფიკაციის შედეგად მივიღეთ. საერთაშორისო სტანდარტების, ახალი რეგულაციების დანერგვით დარგი ეფექტიანად ვითარდება", – განაცხადა ოთარ დანელიამ და აღნიშნა, სოფლის მეურნეობის დარგის ეფექტიანი განვითარებისთვის სისტემური ცვლილებები განხორციელდა.

აგრარული დარგის განვითარების მიმართულებით გაწეული სამუშაოს ანგარიშის შესახებ საუბრისას, ოთარ დანელიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შექმნილია 150 ახალი და გადაიარაღებულია 700-ზე მეტი საწარმო; სახელმწიფოს ხელშეწყობით გაშენდა 5 000 ჰექტარზე მეტი ახალი ბაღი, დაზღვეულია 200 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

სამუშაო სესიას საქართველოს 91 სრულუფლებიანი ელჩი, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ,ამბასადორიალი 2016" 26 ივლისს გაიხსნა და 29 ივლისამდე გაგრძელდა.



# ოთარ დანელია: ევროკავშირის ფინანსური დახმარებით სოფლის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა იწყება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოქმედმა ხელმძღვანელმა საქართველოში შომბი შარპმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორწლიანი პროგრამის დაწყების შესახებ, რომლის მიზანიც საქართველოს სოფლის განვითარების ხელშეწყობაა.

პროგრამის სრული ბიუჯეტი 6.8 მილიონი ლარია. პროგრამის ერთ-ერთი მიზანი სოფლის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და ამ სტრატეგიების პრაქტიკული განხორციელების ხელშეწყობაა.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ შეხვედრაზე აღნიშნა, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ არაერთ პროგრამას, მათ შორის, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ევროპის სამეზობლო პროგრამას (ENPARD), უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს აგრარული დარგის განვითარებაში.

„ორწლიანი პროგრამის დაწყების შესახებ შეთანხმება გულისხმობს ახალ მიდგომას, რომელმაც ხვალინდელი სოფლის მოდელი, ხვალინდელი სოფლის პოლიტიკა უნდა განსაზღვროს და რომელიც სოფლის განვითარების ყველა კომპონენტს მოიაზრებს", — განაცხადა ოთარ დანელიამ.

როგორც ევროკავშირის წარმომადგენლობის ექსპერტმა გარემოს დაცვის, სოფლის განვითარებისა და სურსათის უვნებლობის საკითხებში ალვარო ორტეგა აპარისიომ აღნიშნა, სოფლის განვითარების შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის განვითარებაში.

„საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარებაში სოფლის მეურნეობის წილის გაზრდა, ასევე ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, მაღალმთიან რეგიონებში სიღარიბის შემცირება და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში შემოსავლის გაზრდა. შეთანხმებას ორწლიანი პროგრამის დაწყება მნიშვნელოვანი ნაბიჯია სოფლის განვითარებისთვის", – განაცხადა შომბი შამბმა.

ორწლიანი პროგრამა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში განხორციელდება.

# ოთარ დანელია: რთველის სუბსიდირების შეწყვეტა ნაადრევია

რთველის სუბსიდირების შეწყვეტა ნაადრევია. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ რთველის მოსამაზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, ღვინის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა.

„დღევანდელი შეხვედრის მიზანი არის ის, რომ ყველაფრის გათვალისწინებით ზუსტად გვესმოდეს ერთმანეთის მოთხოვნა-მიწოდების შესაძლებობები, რათა გლეხებმა მიიღონ მაქსიმალური სარგებელი და ასევე ინდუსტრიისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები განვახორციელოთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ექსპორტი არის მზარდი და პოზიტიური ტენდენციებია, პარალელურ რეჟიმში ჩვენ ვხედავთ, რომ იკლებს ფასი. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ჯერ ადრეა სუბსიდირების შეწყვეტა. თქვენ იცით პირადად ჩემი პოზიცია, რომ ნამდვილად არ მივესალმები სუბსიდიებს, თუმცა ვფიქრობ, რომ დარგს დღეს ეს ძალიან სჭირდება", – განაცხადა ოთარ დანელიამ.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიების ხელძღვანელებს ხვდებიან.

# რა ხდება ორგანიზმში გაზიანი სასმელების დალევის შემდეგ



გიფიქრიათ კი იმაზე, რა ხდება თქვენს ორგანიზმში კოკა-კოლას, პეპსი-კოლას, ფანტას და, საზოგადოდ, გაზიანი სასმელების დალევიდან ერთი საათის შემდეგ? ალბათ, არა, თორემ დაფიქრებისთანავე, ვფიქრობ, ბევრს აღეძვრება ამ კითხვაზე პასუხის მიღების სურვილი და სათანადო ინფორმაციასაც ადვილად მოიძიებს.

ფარმაცევტმა ნირაჯ ნაიკმა შექმნა ინფოგრაფიკა, რომელიც დაწვრილებით ხსნის ამ პროცესებს. მაინც რა ხდება ორგანიზმში გაზიანი სასმელების დალევის შემდეგ?

პირველი 10 წუთის განმავლობაში: ორგანიზმი იღებს 10 კოვზი შაქრის ძლიერ დარტყმას (ცნობისათვის — ბევრი სპეციალისტი შაქრის ამ რაოდენობას სადღეღამისო ნორმად მიიჩნევს), თუმცა ადამიანი ვერ გრძნობს ჭარბ სიტკბოს — ფოსფორის მჟავა ახშობს მას.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: მაშ, რატომღა უმატებენ კოკა-კოლას, პეპსის ან სხვა გაზიან სასმელებს ამდენ შაქარს? პასუხი მარტივია: ის დოფამინის (მოტივაციისა და სიამოვნების ნეირომედიატორის) მოჭარბებას იწვევს. ეს, ასე ვთქვათ, ტკბილ ნარკოტიკზე ადამიანის „შესმაა".

20 წუთის შემდეგ: სისხლში შაქრის დონე სწრაფად ეცემა. ამას განაპირობებს ინსულინის მკვეთრი გადმოტყორცნა. ღვიძლი, ცხადია, რეაგირებს ამ მეტამორფოზებზე და შაქრის ჭარბ ოდენობას ცხიმად გარდაქმნის.

40 წუთის შემდეგ: ორგანიზმი იწყებს სასმელში არსებული კოფეინის შთანთქმას. გუგები ფართოვდება, სისხლის წნევა კი იმატებს. ღვიძლი იწყებს სისხლში ჭარბი შაქრის გადმოსროლას. ადენოზინი ბლოკავს ტვინში დაღლილობის რეცეპტორებს და ძილმორეული ადამიანი ფხიზლდება.

გაზიანი სასმელები ნაადრევად დაბერებას იწვევს

45 წუთის შემდეგ: კოკა-კოლას, პეპსი-კოლასა და სხვა გაზიანი სასმელების დალევის შედეგად გამოთავისუფლებული დოფამინი აგრძელებს ტვინში სიამოვნების ცენტრების სტიმულაციას. ადამიანი ჯერ კიდევ ამაღლებულ განწყობაზეა. ფიზიკურ დონეზე ეს ისევე მუშაობს, როგორც ჰეროინის შემთხვევაში.

60 წუთის შემდეგ: ფოსფორის მჟავა ბოჭავს ნაწლავებში კალციუმს, მაგნიუმსა და თუთიას. ეს გარკვეულწილად აჩქარებს მეტაბოლიზმს, მაგრამ ამავე დროს ანადგურებს კბილებსა და ძვლებს.

მოგვიანებით თამაშში ერთვება კოფეინის შარდმდენი თვისებები და ადამიანს ძალიან უნდება მოშარდვა.

კიდევ უფრო მოგვიანებით: ადამიანს კვლავ ეძალება რაიმე ტკბილის მიღების სურვილი. კიდევ დარჩა კოკა-კოლა? თუ არა, ადამიანი ეშვება, ღიზიანდება და ფუჭად ფლანგავს დარჩენილ სამუშაო საათებს.

აი, კიდევ რას აღნიშნავს ნირაჯ ნაიკი: „როდესაც ფარმაცევტად ვმუშაობდი, კარგად ვხედავდი, რა ხანგრძლივ ეფექტს ახდენდა გაზიანი სასმელების მიღება. ჩვენი კომპანიის თითქმის ყველა კლიენტი იყო პირი, რომელიც დღეში ერთ-ორ ბოთლ გაზიან სასმელს მაინც სვამდა. სამწუხაროდ, შემდეგ მათ გამუდმებით უხდებათ საგულე საშუალებების, წნევისა და შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო პრეპარატების შეძენა. გარდა ამისა, საბრალონი განუწყვეტლივ მკურნალობენ კბილებს და ხშირად ხდებიან მოტეხილობის მსხვერპლნი. განა ნორმალურია, რომ მსოფლიოში ყოველდღიურად 1,6 მილიარდი ბოთლი კოკა-კოლა იყიდება?!"

იქნებ ყურად იღოთ ნირაჯ ნაიკის ინფორმაცია და კიდევ ერთხელ დაფიქრდეთ, ღირს თუ არა კოკა-კოლასა და, საზოგადოდ, გაზიანი სასმელების დალევა. იქნებ ნატურალ წვენებსა და ნაყენებზე გადაერთოთ? არ გინდათ, შეინარჩუნოთ ჯანმრთელობა? იქნებ ამჯერად მაინც დაფიქრდეთ?

# ფერისცვალების დღესასწაული ერთ-ერთ ყველაზე აღმატებულ დღესასწაულად ითვლება ქრისტიანულ სამყაროში

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

**— ფერისცვალება მარიამობის მარხვაში უწევს. ბევრი ადამიანი ფიქრობს, თითქოს ამ დღესასწაულამდე არ შეიძლება ახალი ხილის, საზამთროსა და ლეღვის ჭამა. ეს სიმართლეს შეესაბამება თუ უბრალო ცრურწმენაა?**

— ხშირია შეკითხვა, შეიძლება თუ არა ახალი ხილის ჭამა ფერისცვალებამდე? მართალია ძველი აღთქმის დროს, მოსეს რჯული განურჩევლად ყველაფრის საკვებად გამოყენებას კრძალავდა, მაგრამ იესო ქრისტემ, ამის შესახებ, უთხრა ფარისეველთ, რომ არანაირი საკვები ადამიანს არ შეაგინებს, ანუ არ აქცევს მას უწმინდურად. საკვები შიგნით არ რჩება, არამედ გამოდის და ამიტომაც, ადამიანის სულს ვერანაირად შებილწავს. პირიქით, შიგნით მხოლოდ ბოროტი გულის ზრახვები იშვებიან და რჩებიან, გარეთ გამოსვლისას კი უმსგავსო საქციელებს წარმოშობენ და ამით ადამიანის შინაგანს აუწმინდურებენ. მაგალითად, ბილწი გულისთქმა როცა სულშია, ადამიანს ბილწავს, ხოლო როცა საქმეში გადადის, არამარტო ბილწავს მას, არამედ დაღუპვამდე, ანუ სულიერ სიკვდილამდეც კი მიჰყავს. აქედან უნდა გულისხმავჰყოთ, რომ არანაირი საკვები არ ბილწავს ადამიანს, არამედ მხოლოდ მისი გულის სიღრმიდან ამოსული ბოროტი სიტყვები და ზრახვები. ამიტომაც, საზოგადოდ იმის თქმა, რომ ხილის კურთხევამდე, არც ერთი ხილის ნაყოფის მიღება არ შეიძლება, ეს დიდი უგუნურებაა, რადგან უარს ვამბობთ ამით ჩვენ იმაზე, რაც ღმერთმა მოგვცა. თუ ვინმეს მაინც სურს, რომ არავითარი ხილი არ მიიღოს ფერისცვალებამდე, ეს მისი ნებაა, მაგრამ მოძღვრისაგან ამაზე მან კურთხევა მაინც უნდა აიღოს.

ფერისცვალების დღესასწაულზე, ხილის კურთხევისას, წარმოითქმება ლოცვა, რომ უფალმა შეიწიროს ჩვენი ნაყოფი, მიიღოს ძღვენი და მოგვცეს მადლი. ჩვენ ამით ვმადლობთ უფალს იმისათვის, რაც მოგვცა, რაც გვაქვს და რაც მოგვეცემა.

**— ეკლესიურად, ფერისცვალების დღესასწაულს უშუალო კავშირი აქვს ადამიანის სულის ფერისცვალებასთან. როგორ უნდა განიცადოს ადამიანმა სულიერი ფერისცვალება?**

— იმისათვის, რომ ჩვენც შევძლოთ ქრისტეს მარადიული ნათელის ხილვა, ანუ გვქონდეს საკუთარი თაბორი — არამიწიერი ნეტარებისა და აღფრთოვანების წუთები, ბოროტისაგან და ცოდვებისაგან უნდა განვიწმინდოთ, ძირფესვიანად შევიცვალოთ, ანუ ფერი ვიცვალოთ. ამისათვის კი დიდი სულიერი შრომაა საჭირო, მარადიული მღვიძარება გულისა და გონების განსაწმენდად. „ნუ თანახატ-ექმნებით სოფელსა ამას, არამედ შეიცვალენით განახლებითა მით გონებითა თქუენითა“, — მოგვიწოდებს პავლე მოციქული.

მთელი ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი სულიერი ფერისცვალება, ანუ გადასვლა ჩვენი არაკეთილი სულიერი მდგომარეობიდან და მდაბალი ხარისხიდან სულიწმიდის და სათნოების უმაღლეს ხარისხამდე. ჭეშმარიტი ქრისტიანის მთელი სულიერი ცხოვრება და მდგომარეობა თანდათან, დღითი-დღე უნდა იცვლებოდეს, განახლდებოდეს, უმჯობესდებოდეს და ამაღლდებოდეს.

ცხადია, რომ თუ აქვე, ამ სოფელში არ ვიწყეთ მზადება და აქვე არ შევუდექით ჩვენს სულიერ ფერისცვალებას, არ შევიმოსეთ ის ზე სამოსი, რომელიც უფალთან წარდგომისას უნდა გვამშვენებდეს, ვერ ველირსებით ღვთის სასუფეველს და მის დიდებას. რაც შეიძინა ამქვეყნად კაცის სულმა, იმას გადაიტანს იმ სოფელშიც, რა ფერიც აქ მიიღო მისმა სულმა, იმ ფერითვე გადავა იქაც. თუ მისი გული აქ მუდამ იყო აღვსებული ბოროტებით, ამაოებითა და ცოდვით, იქ, ზესთა სოფელში არასოდეს გაბრწყინდება და განათლდება.

ყოველმა მართლმადიდებელმა აქ, ამ სოფელშივე უნდა მოიხვეჭოს სულიწმიდის მადლი, რათა ცხონდეს. ამის მიღწევა კი სხვადასხვა საშუალებებით ხდება. ზოგი სულიერ ფერისცვალებას იესოს ლოცვით მოიპოვებს. ყველაზე უმოკლესი გზა, ყველაზე დიდი სითბო, რაც კი შეიძლება არსებობდეს, არის თაბორის ნათელი, რომელიც სულიერ მამებს ეძლევათ და შემდეგ ცდილობენ, მოსწყდნენ ამ ყველაფერს და მხოლოდ უფალს უჭვრეტდნენ. ეს ის ნათელია, რომელიც ყოველი მართლმადიდებელის ცხოვრებას წითელ ხაზად გასდევს. ეს არის ლოცვა, მარხვა, ღვაწლი, აღსარება, ზიარება, სულიერი ცხოვრება და თითოეულმა ადამიანმა, თითოეულმა ქრისტიანმა უნდა გააცნობიეროს, რომ თავისი ღვთის სათნო ცხოვრების წესით ამ დაუღამებელი ნათელის ხილვის ღირსი გახდეს, მოიხვეჭოს ეს მადლი, ნათელი და ცდილობდეს უფალთან იმ თანაზიარ სიხარულში შევიდეს, რომლითაც იყვნენ აღვსილნი უფლის ბრწყინვალე ფერისცვალებისას მისი მოციქულები.

**— როგორ უნდა აღვნიშნოთ ფერისცვალების დღესასწაული?**

— ფერისცვალების დღესასწაულზე უნდა დავესწროთ აუცილებლად ღვთისმსახურებას, აღსარება ვთქვათ, ვეზიაროთ და საერთოდაც, ყველა ქრისტიანი უნდა ცდილობდეს, რომ წმინდა ღვთისმსახურებას არ დააკლდეს. ძველად იყო ასეთი ტრადიცია, რომ როცა ეკლესიის ზარების ხმას გაიგონებდნენ ჩვენი წინაპრები, მაშინვე ტოვებდნენ ხელსაქმეს, გარბოდნენ ტაძარში, ესწრებოდნენ ღვთისმსახურებას და ეზიარებოდნენ. ზიარება — ეს არის კულმინაცია, როცა ქრისტე შემოდის ადამიანში და განაღმრთობს მას. ის ცოდვათა ჩვენთა მომტევებელია და ამიტომ, როგორც პავლე მოციქული ამბობს: „კეთილი საქმისა ზიარებას ნუ დაივიწყებთ“. ეს მსხვერპლი ხომ სათნოა ღვთისათვის. ამით ჩვენს სულსაც ვარგებთ და უფალსაც გავახარებთ.

ღმერთმა დაგლოცოთ და მიგეღოთ ის ზე ფერი, რომელიც უფალს მარადიულად ასხივოსნებს.

და ბოლოს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაზეთ „ყვარლის“ მკითხველს მივულოცო ფერისცვალების ეს ლამაზი დღესასწაული საკუთარი ლექსით:

თაბორზე როს ფერი იცვალე იესუ ჩუენო,
წინაშე პეტრე, იაკობ და იოანესა,
განცვიფრდნენ შენით მოციქულნი, ნათლისა მფენო,
მედგნენ მოსე და ელია რა ორთავ მხარესა.
და პირი შენი მზეზე უფრო გაბრწყინდა მეტად,
სამოსიც შენი განსპეტაკდა, ვითარცა თოვლი,
მოსე მეტყოდა შენს მომავალ ვნებებზე, ნეტარს,
გოლგოთას მთაზე რომ გელოდა კაცთაგან ლტოლვილს.

და მაშინ პეტრეს აღტაცებით აღმოხდა გულით:
„უფალო ღმერთო, რა კარგია აქ თქვენთან ყოფნა...
სამ კარავს დავდგამთ ამ ადგილას, საყუდრად სულის,
რომ შეისმინო შენი ხალხის ვედრება სოფლად“.

გრილი ღრუბელი ჩამოეშვა, თაბორს დაცურდა,
და გარდამოხდა ხმა ზეციდან მამისა ღმრთისა:
„ძესა მას ჩემსა, საყუარელსა უსმინოთ უნდა!“
შეშინებული მოწაფენი დაემხნენ ძირსა.

როცა ისინი წამოდგნენ და იხილეს თვალით,
თვისი მოძღვარი, ჩვეულებრივ სახით, სამოსით,
აღარც მოსე და ელია ჩანდნენ უფლისა ძალით,
თვალნი აღეხვნათ სულიერნი ღმერთის მადლმოსილთ.

მხოლოდ იესომ არ იცვალა ფერი დიდებით,
ესიყო მათი სულიერი ფერისცვალებაც.
მოგვეც ჩვენც ღმერთო, ის ზე ფერი, რომლით ვმშვიდდებით,
მოგვმადლე ცოდვილთ, შენი დიდი გულმოწყალება!

**ესაუბრა ია გიგიაშვილი**

# 9 დღე სიკვდილის შემდეგ: რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი და რა ემართება ადამიანის სულს



*იმ ქვეყნებში, სადაც ისტორიულად ძველი და იმავდროულად ძლიერი ქრისტიანული ტრადიციებია ჩამოყალიბებული, ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანის გარდაცვალებიდან მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.*

*მართალია, ეს ყველამ იცის, თუმცა, ბევრი ვერ გიპასუხებთ თუ რატომ არის ეს დღეები გამორჩეული. რა ემართება, ტრადიციული წარმოდგენების თანახმად, ადამიანის სულს გარდაცვალებიდან ცხრა დღის მანძილზე?*

**სულის გზა**

ქრისტიანული წარმოდგენები იმის შესახებ თუ რა გზას გადის სული სიკვდილის შემდეგ განსხვავდება ამა თუ იმ კონფესიიდან გამომდინარე. რაც შეეხება იმქვეყნიური სამყაროს სურათს და სულის ბედს მართლმადიდებლურ და კათოლიკურ მიმდინარეობებში, აქ დიდი განსხვავება არ არის. მაშინ როდესაც პროტესტანტულ მიმდინარეობებში აბსოლუტურად განსხვავებული წარმოდგენებია – დაწყებული კათოლიკურ შეხედულებებთან სრული იდენტურობით, ჯოჯოხეთის არსებობის უარყოფით დამთავრებული. ამიტომაც უფრო საინტერესოა მართლმადიდებლური ვერსია სულის მდგომარეობის შესახებ სიკვდილიდან 9 დღის მანძილზე.

პატრისტიკული წყაროების თანახმად, სიკვდილიდან სამი დღის მანძილზე ადამიანის სულს სრული თავისუფლება აქვს. ის არა მხოლოდ ფლობს მიწიერი ცხოვრებიდან სრულ ინფორმაციას, არამედ უნარი აქვს ნებისმიერ ადგილას გაჩნდეს. თვლიან, რომ სული ამ სამი დღის მანძილზე ან სხეულთან ახლოსაა ან კიდევ თუ ადამიანი თავისი სახლისა და ოჯახისგან შორს გარდაიცვალა – ახლობლებთან ერთად; ასევე შესაძლოა მისთვის საყვარელ და განსაკუთრებულად ძვირფას ადგილებში იმყოფებოდეს. მესამე დღეს სული თავისუფლებას კარგავს და ანგელოზს ზეცაში მიჰყავს ღმერთს თაყვანი რომ სცეს. ამიტომაც ამ დღეს, ტრადიციულად, სულთან საბოლოო გამოთხოვების პანაშვიდი უნდა ჩატარდეს.

მას შემდეგ რაც ღმერთს თაყვანს სცემს, სული მიემგზავრება ე.წ. „ექსკურსიაზე“ სამოთხეში: მას აჩვენებენ ზეციურ სამყაროს, მას წარმოდგენა ექმნება იმის შესახებ თუ რა არის რეალურად სამოთხე, ხედავს იმ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი მიწიერი ცხოვრების წესით დაიმსახურეს და ღვთის სასუფეველში დაიმკვიდრეს ადგილი. ეს გაცნობითი ხასიათის მოგზაურობა სამოთხეში 6 დღეს გრძელდება. ამის შემდეგ სულის ტანჯვა იწყება – ხედავს რა წმინდანების ზეციურ ნეტარებას, აცნობიერებს რომ საკუთარი ცოდვების გამო არ იმსახურებს მათი ბედი გაიზიაროს, ამიტომაც ეჭვებისა და შიშის გრძნობა არ ასვენებს – მოხვდება თუ არა სამოთხეში. მეცხრე დღეს ანგელოზებს კვლავ მიჰყავთ სული ღმერთთან, რათა ადიდოს მისი სიყვარული წმინდანების მიმართ.

რა უნდა გააკეთოს ჭირისუფლმა ამ დღეებში-მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის თანახმად, არ უნდა მივიჩნიოთ მეცხრე დღე მხოლოდ იმქვეყნიურ საქმედ – თითქოს გარდაცვლილის ახლობლებს ეს სულაც არ ეხება. პირიქით, ჭირისუფლებისთვის, ადამიანის სიკვდილიდან ზუსტად 40 დღე წარმოადგენს ზეციური და მიწიერი სამყაროს დაახლოების პერიოდს. რამდენადაც, ზუსტად ამ დროს ცოცხლებს უნარი შესწევთ ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ გარდაცვლილი ადამიანის სული გადაარჩინონ. ამიტომ მუდმივად უნდა ილოცონ და ღმერთს მისი სული შეავედრონ, ცოდვების შენდობა სთხოვონ. ეს მნიშვნელოვანია მისი სულის ბედის მომავლისთვის – სად დაელოდება ის განკითხვის დღეს სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში. როდესაც ეს დღე დადგება, ყველა სულის ბედი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება; ასე რომ მათთვის ვინც ჯოჯოხეთში მოხვდება, იმედი არსებობს, რომ ლოცვების წყალობით მას შეინდობენ და სამოთხეში ადგილს დაიმკვიდრებს.

ადამიანის სიკვდილიდან მეცხრე დღე მართლმადიდებლური წარმოდგენით, რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, თითქმის საზეიმოდ ითვლება. ადამიანებს სჯერათ, რომ ბოლო ექვსი დღე გარდაცვლილის სული სამოთხეში იმყოფებოდა, თუნდაც სტუმრის სტატუსით, და ახლა შეუძლია ღირსეულად ადიდოს ღმერთი.

უფრო მეტიც – ითვლება, რომ თუ ადამიანი მართალ ცხოვრებას ეწეოდა და თავისი კეთილი საქმეებით, მოყვასისადმი სიყვარულით და საკუთარი ცოდვების მონანიებით ღვთის წყალობას დაიმსახურებს, მაშინ მისი სიკვდილის შემდგომი ბედი პირდაპირ მეცხრე დღის შემდეგ გადაწყდება. ამიტომ გარდაცვლილის ახლობლებმა ამ დღეს, პირველ რიგში, განსაკუთრებით გულმოდგინედ უნდა ილოცონ მისი სულისთვის; მეორე რიგში – ჩაატარონ მოსახსენიებელი ტრაპეზი.

მეცხრე დღეს, როდესაც გარდაცვლილის საპატივსაცემოდ და მისი სულის მოსახსენიებლად მიღებას მართავენ, ტრადიციის თანახმად არავის ეპატიჟებიან. შეხსენების გარეშე უნდა მოვიდნენ ის ადამიანები, რომლებსაც გარდაცვლილი ადამიანის სულის ბედი აღელვებთ და მას ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ.

თუმცა, რეალურად ქელეხში ყოველთვის სპეციალურად ეპატიჟებიან. ხშირ შემთხვევაში უამრავი ხალხი იყრის თავს, ამიტომ მას რესტორნებში ან მსგავსი ტიპის დაწესებულებებში ატარებენ. სინამდვილეში კი ამ დღემ მშვიდ გარემოში უნდა ჩაიაროს და არ უნდა გადაიქცეს ჩვეულებრივ ღრეობად.

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანული კონცეფცია ადამიანის სიკვდილიდან მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეების მნიშვნელობაზე შეითვისა რამდენიმე თანამედროვე ოკულტურმა მოძღვრებამაც. თუმცა, მათ ამ დღეებს განსხვავებული დატვირთვა მიანიჭეს. ერთი ვერსიის თანახმად, მეცხრე დღე აღსანიშნავია იმით, რომ ამ პერიოდში თითქოს სხეულის დაშლა ხდება. კიდევ სხვა ვერსიის თანახმად მას შემდეგ რაც სული ასტრალურ სამყაროში გადაინაცვლებს, შესაძლოა მოჩვენებად გადაიქცეს, განსაკუთრებით მძიმე სულებზეა საუბარი, რომლებიც სხვადასხვა მიზნით მატერიალურ სამყაროში შემოჭრასა და ენერგეტიკული კონტაქტის დამყარებას ცდილობენ.

# კოღოს გარდა, კიდევ რა გზით ვრცელდება ზიკა ვირუსი და რა საფრთხის წინაშე დგას საქართველო

ზიკა ვირუსი ამ დროისთვის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული. ძირითადად, სამხრეთ ამერიკაში. კონკრეტულად კი ბრაზილიაში. თუმცა მაჩვენებლები სწრაფი ტემპებით იმატებს. ცოტა ხნის წინ მისი არსებობა რუსეთშიც დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ მისი გადამტანი კოღო საქართველოშიც გვყავს. საინტერესოა, არის თუ არა მოსალოდნელი ამ ვირუსის საქართველოში გავრცელება; როგორ უნდა დავიცვათ თავი მისგან და რატომაა წითურა ზიკა ვირუსზე გაცილებით საშიში.

პაატა იმნაძე (დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი): ადამიანებში ზიკა ვირუსის გადაცემა ხდება ინფიცირებული ედეს სახეობის კოღოს ნაკბენით. კოღოსთვის ინფიცირების წყაროს დაავადებული ადამიანი წარმოადგენს. თუმცა, რამდენიმე შემთხვევის მაგალითად უკვე დადასტურებულია, რომ ეს ვირუსი სქესობრივი გზითაც ვრცელდება.

**– საქართველოს თუ ემუქრება საფრთხე?**

– როცა ვირუსი ვრცელდება, რისკის ქვეშ ჩვენც ვართ. რა თქმა უნდა, თუმცა, ეს რისკი ძალიან მაღალი არ არის, რადგან ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ მთელი საქართველო სამხრეთ ამერიკაში, კოპა-კაბანას პლაჟზე ისვენებს, სადაც მისი გავრცელების მაღალი მაჩვენებელია. დიდი არა, მაგრამ შემოტანის რისკი მაინც არსებობს. სამწუხაროდ, კოღოს ეს სახეობა ჩვენთანაც არის. ის პირველად 2014 წელს ვიპოვეთ აჭარის ტერიტორიაზე, ბათუმში, ქალაქგარეთ, სადაც ღია საბურავების საწყობია – ერთ წერტილში და სამეგრელოს ტერიტორიაზეც – ერთ წერტილში. ზიკა ვირუსის გადამტანი კოღო პირველად საქართველოში სამოცი წლის წინ დაფიქსირდა, მერე, რაღაც პერიოდი, აღარ ყოფილა და ახლა ისევ გამოჩნდა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელიც გლობალურ დათბობასაც უკავშირდება. იცვლება გადამტანების გავრცელების არეალი.

**– თუმცა, ზიკა ვირუსის შემთხვევა რუსეთშიც დაფიქსირდა. ეს არ ნიშნავს საფრთხის მოახლოებას?**

– რუსეთშიც დაფიქსირდა და ევროპაშიც რამდენიმე ასეული შემთხვევაა დადასტურებული. დაავადებული შეიძლება, ჩვენთანაც ჩამოვიდეს, მაგრამ მისი გადამტანი კოღოს რაოდენობა იმდენად მცირეა და გავრცელების არეალი შეზღუდული, რომ დაავადების გადატანის ალბათობა პრაქტიკულად, არ არის.

**– ვირუსი ნაკლებად საშიშია მოზრდილებისთვის, თუმცა ფეხმძიმეებისთვის დიდ რისკს შეიცავს.**

– ეს ვირუსი პრობლემაა ნაყოფისთვის. ძირითადად, მიკროცეფალიას იწვევს, ანუ თავის ტვინი ვერ ვითარდება. პატარაა თავის ქალა, შესაბამისად, ტვინიც პატარაა და ამ დროს ბევრი ნევროლოგიური დარღვევა ვითარდება. ასეთი 300-მდე დადასტურებული და 1 700 გამოსაკვლევი შემთხვევა არსებობს. ამიტომაც, ზოგიერთ ქვეყანაში ურჩიეს მოსახლეობას, რომ სანამ ზიკაა გავრცელებული, ნუ დაფეხმძიმდებიან, რადგან იმდენად შეუმჩნევლად შეიძლება, განვითარდეს ეს ვირუსი, ადამიანმა ვერც გაიგოს, რომ დაავადებულია. გვყავდა გრიპისმაგვარი სიმპტომებით ბრაზილიაში ნამყოფი პაციენტი. გავტესტეთ, მაგრამ ზიკა არ აღმოჩნდა.

**– რა სიმპტომებით ხასიათდება ზიკა ვირუსი?**

– მას სპეციფიკური სიმპტომები არ აქვს. ჩვეულებრივ ახასიათებს: თავის ტკივილი, ცხელება, ზურგის ტკივილი, გამონაყარი და კონიუქტივიტი. თუმცა, მისი ხუთი შემთხვევიდან მხოლოდ ერთშია გამოხატული სიმპტომები. ანუ, ხუთი დაავადებულიდან, ავად შეიძლება, ერთი გახდეს. დაავადებას, ხშირ შემთხვევაში, ახასიათებს მსუბუქი მიმდინარეობა და ის 2-იდან 7 დღემდე გრძელდება.

**– პრევენცია თუა შესაძლებელი?**

– ჯერჯერობით ზიკა ვირუსის ვაქცინაცია არ არსებობს. პრევენცია შესაძლებელია კოღოების კბენისგან თავდაცვით, სპეციალური რეპელენტების გამოყენებით. მისი გამავრცელებელი კოღოები ძირითადად დღისით იკბინებიან და ამიტომ მათი გავრცელების არეალში აუცილებელია კოღოების კბენისგან თავდაცვა სპეციალური ბადეების მეშვეობით. გრძელმკლავიანი და გრძელტოტებიანი ტანსაცმლის ტარება არაკეთილსაიმედო ქვეყანაში მოგზაურობისას და დაცული სქესობრივი კონტაქტი. მკურნალობა სიმპტომების მიხედვით ხდება და რეკომენდებულია წოლითი რეჟიმი, დასვენება. საჭიროა ბევრი სითხის მიღება გაუწყლოების თავიდან ასაცილებლად და სიცხის დამწევი და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები. არ არის რეკომენდებული ასპირინი, სისხლჩაქცევების რისკის გაზრდის გამო.

**– კოღოების მიერ გადატანილ სხვა დაავადებების შესახებ რისი თქმა შეიძლება?**

– ზიკას ვირუსის გადამტან კოღოებს, ასევე შეუძლიათ, დენგეს, ჩიკუნგუას და ყვითელი ცხელების გადატანა. ესენი უფრო მძიმე დაავადებებია, ვიდრე ზიკა. მაგრამ ზიკა უფრო ფართოდაა გავრცელებული. ევროპაში უკვე დაიფიქსირდა დენგეს შემთხვევები. სამი წლის წინ ჩვენც გვყავდა დენგეთი დაავადებული უცხოელი სტუდენტი, თუმცა ჩვეულებრივად მოვარჩინეთ და არავის გადასდებია. ის უფრო მძიმედ და მეტი გართულებით მიმდინარეობს. თუმცა, იშვიათად, მაგრამ გარდაცვალების მიზეზიც შეიძლება გახდეს. საქართველოში გადამტანების მიერ გავრცელებული დაავადებებიდან, მალარია აღარ გვაქვს. ცოტა ხანში ვაპირებთ სერტიფიცირებას, როგორც მალარიისგან თავისუფალი ქვეყნის, რადგან უკვე სამი წელია, მისი ადგილობრივი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

კიდევ ერთი სახიფათო დაავადებაა ლეიშმანიოზი, რომელიც ცხოველიდან ადამიანს მცირე ზომის მწერის, ფლებოტომუსის საშუალებით გადაეცემა. ის კბენს დასნებოვნებულ ძაღლს და შემდეგ ჯანმრთელი ადამიანის კბენისას, მას აავადებს. მისი რაოდენობა ბოლო წლებში ორჯერ შემცირდა, მაგრამ მაინც არის. უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლოა, ის ლეტალურადაც დასრულდეს.

მძიმე დაავადებაა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება, რომელიც ტკიპებს გადააქვთ ცხოველებიდან ადამიანზე. საქართველოში ძირითადად, გავცელებულია ხაშურის რაიონში და სამცხე-ჯავახეთში. იშვიათი დაავადებაა, წელიწადში შეიძლება, სამჯერ დაფიქსირდეს, მაგრამ ძალიან მძიმედ მიმდინარეობს. ახასიათებს სისხლჩაქცევები, სისხლდენა და შესაძლოა, ლეტალურადაც დამთავრდეს.

ასევე, ტკიპების მეშვეობით გადადის ლაიმის დაავადება, რომელიც ჩვენთან იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება. თავიდან მძიმედ არ მიმდინარეობს, მაგრამ თუ გართულდა და ნევროლოგიური ფორმა მიიღო, მძიმე შედეგი დგება. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია მწერების კბენისგან თავის დაცვა მწერების დამაფრთხობლებით. ტკიპების ხელით მოშორება ყველაზე დიდი რისკია, რადგან სწორედ ამ დროს ხდება, მაგალითად, ყირიმ-კონგოს ცხელებით ადამიანის დაავადება.

**– ზიკა ვირუსის ფონზე, ნაკლებ საფრთხედ აღიქვამენ წითურას, თუმცა რეალურად, ის უფრო საშიშია, არა?**

– ეგ არის ყველაზე გასაოცარი. წითურა თუ ორსულს შეხვდა, გაცილებით მძიმედ აზიანებს ნაყოფს, ვიდრე ზიკა. ზიკას შემთხვევაში, კიდევ არის შანსი, რომ ნაყოფი არ დაზიანდეს, მაგრამ წითურას დროს, ეს გამორიცხულია. საქართველოში ბევრი შემთხვევაა, როცა ორსულს ემართება წითურა და იძულებული ხდება, ორსულობა შეწყვიტოს, რადგან ის იწვევს ბავშვის ფიზიკურ სიმახინჯეებს. ახალშობილი შეიძლება, იყოს უსინათლო, სმენადაქვეითებული ან საერთოდ, დაიღუპოს. არადა, წითურას აცრა არსებობს და ამ ყველაფრის თავიდან არიდება მარტივადაა შესაძლებელი. თუმცა, რატომღაც ზიკასი ეშინიათ და წითურასი არა.

**ქეთი კაპანაძე**
**ჟურნალი „თბილისელები“**

# ქართული ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდი — ყურძნის დაკრეფიდან მარნამდე



საქართველო ვაზისა და ღვინის კლასიკური ქვეყანაა, სადაც „ვენახის ჭეშმარიტი სამშობლო“ ეგულებათ, სადაც ვაზ-ყურძნის უთვალავი ჯიში გამოუყვანიათ, სადაც „ისეთ ჩინებულ ღვინოს სვამენ, როგორსაც არსად“, სადაც „ცოცხალია მევენახეობა-მეღვინეობის ისეთივე არქაული წესები, როგორსაც ძველი ბერძნული და რომაული თხზულებები აგვიწერენ“.

## ღვინის ხარისხი ვენახში იწყება

ქარხნული და ოჯახური მეღვინეობები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან, მაგრამ არსებობს ისეთი საერთო მეთოდის აუცილებლობა, როგორიცაა სისუფთავისა და ჰიგიენური პირობების დაცვა. მეღვინეობაში ჰიგიენის დაცვა ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა მაღალხარისხოვანი ღვინის მისაღებად. როგორც ამ საქმის ოსტატები ამბობენ, აღსანიშნავია ერთი გარემოება: თუ კაცი ნატურალურ ღვინოს აყენებს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ხარისხიან პროდუქტთან, რადგან, შესაძლოა, ღვინო მართლაც იყოს ნატურალური და ამასთან, ტრადიციული მეთოდებით დაყენებული, მაგრამ დასნებოვნებული იყოს და აქედან გამომდინარე, უვარგისი. აღარას ვამბობთ ღვინის ფალსიფიკაციაზე, რომელიც უკვე დიდი ხანია, სენივით მოედო ქართულ მეღვინეობას როგორც ქარხნულ, ისე ოჯახურ პირობებშიც.

იცით, როგორ დააყენოთ ნამდვილი, ქართული, ტრადიციული ღვინო? ამასთან დაკავშირებით სმრავალსაუკუნოვანი გამოცდილებაა აქვთ საქართველოში, სადაც ითვლება, რომ ღვინის ხარისხი ვენახიდან იწყება. ანუ, ვენახისა და ყურძნის მართებული მოვლა-მოყვანა, სწორი და დროული რთველი მაღალხარისხიანი ღვინის მიღების საწინდარია. რთვლისთვის არჩევენ მშრალ, მზიან ამინდს. უმჯობესია, რთვლის დაწყება დილის 9-10 საათზე, მაშინ, როდესაც ნამი გაშრება. ამის გარდა, ამ დროს გამოირიცხება ყურძნის გადახურება, რაც იწვევს ალკოჰოლური დუღილის დროს მაღალ ტემპერატურას, ეს უკანასკნელი კი აუცილებლად უარყოფითად იმოქმედებს ღვინის ხარისხზე. წვიმიან ამინდში (ასევე ახალ ნაწვიმარზე) რთვლის ჩატარება არ შეიძლება, რადგან ყურძენს ზედმეტი წყლის გარდა, მიჰყვება მავნე მიკროორგანიზმები, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებს ტკბილისა და ღვინის ხარისხზე.

ყურძნის დასაკრეფად თუნუქის ვედროების ან სხვა რკინის ჭურჭლის გამოყენება არ შეიძლება, რადგან ამ დროს ყურძნის ტკბილი „მდიდრდება“ თუთიითა და რკინით. საუკეთესო ვარიანტია მოწნული გოდრები, ხის ყუთები და პლასტმასის ჭურჭელი.

ყურძნის დაკრეფა-გადამუშავებისას ხშირად მწიფე მტევანს (განსაკუთრებით, ხეივანზე) დაკრეფამდე საგრძნობლად აზიანებენ კრაზანები და სხვა მავნებელი მწერები, რომლებიც ყურძნის ფიზიკურ დაზიანებასთან ერთად, ხელს უწყობენ მომავალი ღვინის დაძმარებას და დაავადებას, რადგან გადააქვთ და ავრცელებენ ძმარმჟავა ბაქტერიებს. ამ არასასურველი პროცესის თავიდან ასაცილებლად მიმართავენ ძალზე ეფექტურ ხერხს: ხეივანზე, დაახლოებით, ყოველ 5 მეტრზე ჩამოკიდებენ ბურახით ნახევრად სავსე ბოთლებს. ბურახის სუნი მავნებლებს იზიდავს, ისინი ბოთლში ცვივიან და იხრჩობიან.

მოკრეფილი ყურძენი დაუყოვნებლივ უნდა გადამუშავდეს, ყურძნის დაყოვნება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, რეკომენდებული არაა. გადამუშავებამდე ყურძნის დაყოვნებას ზოგჯერ მიმართავდნენ, მაგალითად, გურიასა და იმერეთში ალადასტურის ჯიშის ვენახის რთვლის დროს: დაკრეფილ ყურძენს აწყობდნენ სპეციალურად მოწყობილ თაროებზე. რა თქმა უნდა, ამ დროს ყურძენი სრულიად საღი და დაუზიანებელი უნდა ყოფილიყო.

ასეთი ხერხის გამოყენებით, ყურძენში იკლებს წყლის შემცველობა, იმატებს შაქრიანობა და უმჯობესდება მისი გემოვნური და ხარისხობრივი თვისებები. თუკი ყურძენი გადამუშავებამდე ტრანსპორტირებას საჭიროებს, იგი უნდა გადაიზიდოს ისე, რომ გამოირიცხოს მისი პირდაპირი კონტაქტი რკინასთან. ასევე, არასასურველია დამტვერიანება და მექანიკური დაზიანება, ერიდებიან მოკრეფილი ყურძნის დიდი ხნით მზეზე გაჩერებასაც. ეს ყოველივე უარყოფითად მოქმედებს საბოლოო პროდუქციის ხარისხზე.

ყურძნის დაჭყლეტვა და გამოწნეხვა-ყურძენს ჭყლეტენ სპეციალურ მექანიკურ ან ელექტრო ხელის საჭყლეტში. საჭყლეტის ის დეტალები, რომლებსაც ყურძენი უშუალოდ ეხება, რკინის არ უნდა იყოს. ერთ-ერთ საუკეთესო ვარიანტს წარმოადგენს რეზინისბორბლებიანი საჭყლეტი, რომლის გამოყენების დროს გამოირიცხება როგორც დაჭყლეტილი ყურძნის რკინით „გამდიდრება“ (რაც აუარესებს ღვინის ფერსა და ხარისხს), ასევე, მარცვლის წიპწების დამტვრევა და ამის შედეგად პროდუქციის გემოს გაუხეშება და გამწარება, რაც ძალზე ხშირია. დაჭყლეტილ ყურძენს, იმის გათვალისწინებით, თუ როგორი ტიპის ღვინო უნდათ მიიღონ, ან პირდაპირ სადუღარ ჭურჭელში მოათავსებენ, ან გამოწნეხავენ.

გამოწნეხის პროცესი საქართველოში ტრადიციულად საწნახელში მიმდინარეობდა. საქართველოში გავრცელებული ყოფილა ქვითკირის, ხის მორისაგან ან ფიცრებისგან დამზადებული საწნახლები. უპირატესობა ცაცხვის ხისგან დამზადებულ საწნახელს ენიჭებოდა, რადგან ცაცხვი არის მსუბუქი მასალა, დიდხანს ძლებს და არ გააჩნია რაიმე გარეშე სუნი ან გემო, რაც უარყოფითად იმოქმედებდა ღვინის ხარისხზე.

ყურძნის საწნახელში დაწურვა დღეს უკვე იშვიათობას წარმოადგენს, ხოლო ყურძნის საბოლოო გამოწნეხა ძირითადად კუსტარულ წნეხში ხდება, რომელიც თავისი რკინის დეტალების გამო აუარესებს ღვინის ხარისხს, რადგან ყურძნის ტკბილი და შემდგომში ღვინო, როგორც ზემოთ ითქვა, მდიდრდება რკინით, უარესდება პროდუქციის ფერი და იწყება მისი შებურვა. ამიტომ უპირატესობა უჟანგავი ლითონის დეტალებიან წნეხებს ენიჭება.

შემდეგი და ძალზე მნიშვნელოვანი პროცესია ალკოჰოლური დუღილი. ოპტიმალურ პირობებში იგი დაახლოებით 7-14 დღე გრძელდება (მძაფრი და წყნარი დუღილი). შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესის დროს დაშვებულ შეცდომას (დუღილის პროცესის უკონტროლოდ ჩატარებას) გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება და ხშირად საქმე ღვინის გაფუჭებით მთავრდება. ალკოჰოლური დუღილი მთლიანად უნდა კონტროლდებოდეს და იმართებოდეს.

ღვინის ხარისხის გაუარესების თავიდან ასაცილებლად, დუღილის პროცესმა თანაბრად და შეუჩერებლად უნდა ჩაიაროს. ხშირია შემთხვევა, როდესაც დუღილის პროცესი მის დასრულებამდე ჩერდება და ღვინო დაუდუღებელი რჩება, რასაც, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზები აქვს.

აღსანიშნავია, რომ თეთრი ღვინო რაც უფრო დაბალ ტემპერატურაზე დაიდუღებს (დაახლოებით 8/12 გრადუსი — „ცივი დუღილი“), მით უფრო არომატული გამოდის, მაგრამ ამ დროს დიდია დუღილის შეჩერების რისკი. ასევე, დაბალი ტემპერატურის გამო, დუღილის პერიოდი შეიძლება თვე-თვენახევარი გაგრძელდეს, რის დროსაც, შესაძლოა, ღვინო დაავადდეს (დაძმარება და სხვა).

ოჯახურ პირობებში შეჩერებული დუღილის ბოლომდე მიყვანა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ყველა ღონე უნდა გამოიძებნოს იმისათვის, რომ ალკოჰოლური დუღილის პროცესმა ოპტიმალურად ჩაიაროს და გამორიცხული იყოს ისეთი ელემენტარული შეცდომები, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელია. კერძოდ: დუღილის პროცესი შეიძლება შეაჩეროს მაღალმა (30 გრადუსზე ზემოთ) ან დაბალმა (10 გრადუსზე ქვემოთ) ტემპერატურამ.

ზედმეტად მაღალ ან დაბალ ტემპერატურაზე საფუარების აქტივობა ნელდება ან წყდება. ასევე აბრკოლებს დუღილს ყურძნის ძალზე მაღალი შაქრიანობა, ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა და სხვ. დუღილის ოპტიმალურ ტემპერატურად მიიჩნევენ 23 გრადუსს. ალკოჰოლური დუღილის შეჩერების ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა უჰაერობაც იყოს.

ხალხში გავრცელებული აზრი, თითქოს მინის ბოცებზე დუღილის პროცესში ჰაერის ბუშტების გაკეთების დროს ღვინო გაზიანი და შუშხუნა დადგება, უსაფუძვლო და მცდარია. პირიქით, ადგილი, სადაც სპირტული დუღილი მიმდინარეობს კარგად უნდა ნიავდებოდეს, რადგან დუღილის დროს გამოიყოფა ჯანმრთელობისათვის მავნე გაზები, ხოლო ბოლომდე დაუდუღებელი ღვინო მასში შაქრების არსებობის გამო, დაბალალკოჰოლიანი და მღვრიე გამოდის, ამის გარდა ასეთ ღვინოში დიდია დაავადების (დაძმარება და სხვა) გაჩენის რისკი.

ღვინის მოვლა და შენახვა-ახლად დადუღებული ღვინის ჭურჭელი ბოლომდე უნდა გადაივსოს, ხოლო ღვინო თავდაპირველად ხშირად უნდა გადაიღონ, მაგრამ, მაგალითად, კახურ, ქვევრში ჭაჭაზე დადუღებულ ღვინოს ზოგ შემთხვევაში თავისსავე ჭაჭაზე ადრე გაზაფხულამდეც კი ტოვებენ, რასაც, რა თქმა უნდა, აქვს დადებითი მხარეები: ვინაიდან ქვევრში ღვინო ჭაჭასთან დიდხანსაა შეხებაში, მიმდინარეობს ღვინის ბუნებრივი სტაბილიზაცია და ფერის დაწმენდა, რასაც ქარხნულ პირობებში ესაჭიროება გაწებვა (რომელიც ემსახურება ღვინის გაწმენდას), ფილტრაცია და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების დამატება. ამის გარდა, ჭაჭიდან ღვინოში გადადის უფრო მეტი სასარგებლო ნივთიერება, ვიდრე ევროპულად დაყენების შემთხვევაში.

ამგვარი ღვინო უფრო სტაბილურია, იღებს სასიამოვნო მუქ ოქროსფერ-ჩალისფერ შეფერილობას, ძალზე გამჭვირვალეა და დიდხანსაც ინახება. საერთოდ, ლექს ახასიათებს გახრწნა, რაც თავისთავად ცუდად მოქმედებს ღვინის ხარისხზე. მადუღარ არეს, თუკი საქმე გვაქვს კახური ღვინის დაყენებასთან (ჭაჭაზე დუღილი), ესაჭიროება დარევა. ჭაჭას ურევენ დღეში მინიმუმ სამჯერ-ხუთჯერ.

ეს ოპერაცია ემსახურება მადუღარი არის ზედაპირზე ამოტივტივებული ჭაჭის („ქუდის“) ჩარევას და ამით გამოირიცხება ამოტივტივებული ჭაჭის დაჟანგვა, დაძმარების პროცესის დაწყება და ღვინის ხარისხის გაუარესება. თუკი დუღილის პროცესში აერაცია და გარკვეული რაოდენობის სითბო დადებითად მოქმედებდა მადუღარ არეზე, დუღილდამთავრებულ ღვინოს ესაჭიროება ჰერმეტულობა და შენახვის დაბალი ტემპერატურა (ქარხნულ პირობებში ღვინოს ინახავენ არა უმეტეს 14-15 გრადუსისა).

ღვინის შენახვისას ძალზე მნიშვნელოვანია დაბალი ტემპერატურა; ამისათვის ზამთრის პირველი სიცივეები ძალზე ხელსაყრელია ღვინისთვის, რისთვისაც ხშირად, ქარხნებში ყინვების დროს, საცავის კარებსა და ფანჯრებს დიდი ხნით ღიას ტოვებენ. ღვინის გადაღების პროცესში ჭურჭლის კედლებსა და ფსკერზე შევამჩნევთ კრისტალებს, რომელთაც ღვინის ქვა ეწოდება. ეს კრისტალები ღვინოში არსებული მჟავების მარილებია.ღვინის ქვა სიცივის ზემოქმედებით გამოიყოფა და ეს პროცესი დადებითად მოქმედებს ღვინის ხარისხზე, კერძოდ, მისი გამოლექვის დროს ღვინოს სცილდება ზედმეტი მჟავიანობა, ფერი უფრო წმინდა, ხოლო მისი გემო უფრო ჰარმონიული ხდება. ჭურჭლის შიდა ზედაპირზე გამოლექილი ღვინის ქვა სითბოების დადგომისას ნაწილობრივ კვლავ გაიხსნება ღვინოში და აამღვრევს მას, ასე რომ, ღვინის ქვა დაცლილ ჭურჭელს დაუყოვნებლივ უნდა მოშორდეს.

ღვინის გადაღების ზუსტი, დადგენილი დრო და ინტენსივობა არ არსებობს. ღვინო იმდენჯერ უნდა გადაიღონ, რამდენჯერაც იგი ამას მოითხოვს. ოჯახურ პირობებში ძალზე მნიშვნელოვანია ასევე, გოგირდის დროული და ზომიერი გამოყენება. ღვინის ჭურჭელს, იქნება ის ქვევრი, კასრი, მინა თუ სხვა, სრული დეზინფექციისთვის უნდა ეხრჩოლოს (ჩაუბოლდეს) გოგირდი. ემალირებული და უჟანგავი ლითონის ჭურჭელში გოგირდის ჩაბოლებას ერიდებიან, რადგან გოგირდმა, შესაძლოა, ჭურჭლის შიდა ზედაპირი დააზიანოს.

გოგირდის ფითილების დამზადება შინაურ პირობებშიც შეიძლება, ამისათვის ვენახის შესაფრქვევ გოგირდს (სხვა გოგირდის გამოყენება არ შეიძლება) დაყრიან ტაფაზე და გაადნობენ დაბალ ცეცხლზე, რაშიც შემდეგ ამოავლებენ 2-3-სანტიმეტრიან ზოლებად სიგანეზე დაჭრილ თაბახის ფურცლებს. ამგვარ ფითილებს გამოაბამენ მავთულს, ზედა მხრიდან მოუკიდებენ ცეცხლს და ჩაუშვებენ წინასწარ გარეცხილ ჭურჭელში.

ქარხნებში მიღებულია გოგირდის ჩაბოლების დოზა: 3 გრ გოგირდი ყოველ 100 ლიტრ ჭურჭელზე. მნიშვნელოვანია ერთი გარემოება: გოგირდი ახლად გარეცხილ და ღვინის ჩასასხმელად გამზადებულ ჭურჭელს უნდა ჩაუბოლდეს მანამ, სანამ ჭურჭლის შიდა ზედაპირი ჯერ კიდევ სველია, რადგან ამ დროს დამწვარი გოგირდის ბოლი რეაქციაში შედის წყალთან და წარმოიქმნება გოგირდოვანი მჟავა, რაც უკეთ უზრუნველყოფს ჭურჭლის დეზინფექციას. გოგირდჩაბოლებულ ჭურჭელში ნაკლებია ღვინის ბრკისა და დაძმარების (ასევე სხვა დაავადებების) გაჩენის რისკი, თუმცა, კუსტარულად გაკეთებულ ფითილებს ახასიათებთ ჭურჭელში ჩაღვენთვა, რამაც შესაძლოა ღვინოს გოგირდწყალბადის (ლაყე კვერცხის) სუნი მისცეს.დღესდღეობით უკვე არსებობს ქარხნულად დამზადებული ჩასაბოლებელი გოგირდის ფითილები, რომელიც ჭურჭელში არ ილვენთება. გოგირდს ზოგჯერ მარნებსა და სარდაფებშიც წვავენ, თუკი, რა თქმა უნდა, არსებობს ამის საჭიროება.

სადუღარი და შესანახი ჭურჭელი-ღვინის სადუღარ თუ შესანახ ჭურჭლად ძირითადად გამოიყენებენ კასრებს, ქვევრებს, მინისა და უჟანგავ თუ ემალირებულ ჭურჭელს. ოჯახურ პირობებში — ძირითადად ქვევრებს, კასრებსა და მინის ჭურჭელს იყენებენ. ამჯერად თქვენს ყურადღებას კასრებსა და ქვევრებზე შევაჩერებთ.

ქვევრი-კერამიკული წარმოების ისეთი დარგი, როგორიც მექვევრეობაა, მთლიანად მეღვინეობის ინტერესებს ემსახურება. ქვევრი ის ჭურჭელია, რომელშიც მიმდინარეობს ყურძნის ტკბილისა თუ დურდოს დადუღება და ღვინის შენახვა. ამრიგად, მისი დანიშნულება და მნიშვნელობა მეღვინეობაში უდიდესია. ქვევრის, როგორც სამეურნეო ხასიათის მქონე ჭურჭლის, წარმოშობა ძალზე შორეულ წარსულშია სავარაუდო.

საერთოდ მეთუნეობა ხუთ ძირითად დარგად იყოფა. ესენია: მეაგურეობა, მეკრამიტეობა, მეჭურჭლეობა, მეთონეობა (საიდანაც წარმოიშვა ამ დარგის სახელი მეთუნეობა) და მექვევრეობა. კერამიკული ნაწარმი თითქმის ყველა სახის თიხისაგან მზადდება, რომელსაც მოიპოვებენ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ ქვევრების დასამზადებლად თიხაც შესაბამისად შერჩეული უნდა იყოს და დამზადებისა თუ გამოწვის ტექნოლოგიაც სათანადო ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს.

ქვევრების მოცულობა ძველ საქართველოში დაახლოებით 3-5-დან 8 000 ლიტრამდე მერყეობდა. ქვევრის დადებით მხარედ მიიჩნევენ: მის დიდ მოცულობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახურ პირობებში; მასში თითქმის უცვლელ ტემპერატურას, რასაც ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ქვევრში მიმდინარე ყველა ტექნოლოგიურ ეტაპზე და მის განსაკუთრებულ და შეუცვლელ როლს ღვინის ქართულად დაყენების საქმეში.

ქვევრს, მუხის კასრისაგან განსხვავებით, არ ახასიათებს ღვინის აშრობა და, ამრიგად — დანაკარგი. ყველა ტექნოლოგიური პროცესის ზუსტი დაცვით (ჰიგიენა, ჰერმეტულად შენახვა და სხვ.) ქვევრში ღვინო ხანგრძლივად ინახება.

ქვევრის უარყოფითი მხარეებიდან გამოყოფენ: ქვევრის კედლების ძლიერ ფორიანობას და განსაკუთრებით დიდი მოცულობის ქვევრებში მცირედი ვიბრაციის დროსაც კი (მიწისძვრა, მეწყერი და სხვა) მისი კედლების დაბზარვის რისკს. ასევე, არსებობს ახალი, უხარისხო ქვევრების შეძენის საშიშროება. ამ ახალი რისკის საფუძველს წარმოადგენს ამ დარგისადმი გარკვეულად გულგრილი დამოკიდებულება და ქვევრის დამზადების ტექნოლოგიის არასრული დაცვა. ქვევრის კედლების ძლიერი ფორიანობის საწინააღმდეგოდ ახალ ქვევრებს მიწაში ჩადგმამდე გაათბობენ დაახლოებით 60-80 გრადუსამდე და შიგნიდან ცვილით გაგლესენ.

გამთბარი ქვევრის კედლები ცვილს ღრმად შეიწოვს და ამრიგად გამოირიცხება როგორც ღვინის გაჟონვის ან გარედან ქვევრში ნესტის შეღწევის რისკი, ასევე ხმარებისა და რეცხვის პროცესში ცვილის მოცილებაც. ცვილის წასმა უკვე მიწაში ჩამარხულ ქვევრშიც შესაძლებელია. რაც შეეხება ქვევრის რეცხვის სიძნელეს, ეს პრობლემა იმდენად აქტუალური ყოფილა, რომ ძველად არსებობდა პროფესია — „ქვევრის მრეცხავი“ და ამ საქმეს, ხშირ შემთხვევაში, პროფესიონალი ახორციელებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ქვევრის ღვინოში რაიმე ზადის ან დაავადების გაჩენა ძირითადად განპირობებულია სწორედ მისი რეცხვისა და წყლის ნორმების არასათანადო დაცვით.მნიშვნელოვანია ქვევრის რეცხვა როგორც გამოყენების წინ, ასევე მისი რეცხვა ხანგრძლივი სიცარიელის შემდეგ. ორივე შემთხვევაში, ისე როგორც ღვინის გადაღებისას, რეკომენდებულია ქვევრში გოგირდის ჩაბოლება (3 გრ გოგირდი ყოველ 100 ლიტრ ჭურჭელზე). ცარიელ ქვევრში გოგირდის ჩაბოლება შეიძლება განმეორდეს თვე-თვენახევარის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში გოგირდის თავდაპირველი ჩაბოლება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა გარეცხილი ქვევრის შიდა ზედაპირი კარგად გამოშრება.

ტრადიციულად, ქვევრების გარეთა ზედაპირს კირით ადუღაბებდნენ. ამ ოპერაციას რამოდენიმე დატვირთვა აქვს, მაგრამ უმთავრესად იგი ერთგვარ ანტისეისმურ ღონისძიებას წარმოადგენს, ამის გარდა, დაკირულ ქვევრში ნაკლებია გარედან ნესტის ან გრუნტის წყლის შეღწევის რისკი. ქვევრების დაკირვა საქართველოში ძალიან სწრაფად გავრცელდა, რაც განაპირობა დაახლოებით XI საუკუნეში მომხდარმა უძლიერესმა მიწისძვრამ, რომელმაც სავსე ქვევრების უმრავლესობა დააზიანა.

ახლო წარსულში ზოგჯერ კირის ნაცვლად ცემენტსაც იყენებდნენ, რაც ყოვლად გაუმართლებელია, ვინაიდან ცემენტის ექსპლუატაციის ვადა კირთან შედარებით ძალზე მცირეა, ასევე, მას ახასიათებს დაშმორება და დაობება; ხოლო რისკი იმისა, რომ ახალი ქვევრები მთელი რიგი წესების დაუცველად მზადდება, არც თუ უსაფუძვლოა. გამოცდილი მექვევრე, მაგალითად, ჭურჭლისთვის მომზადებულ თიხას საგულდაგულოდ დაახარისხებს და არავითარ შემთხვევაში მდინარის, წვიმის ან ნაგუბარი წყლით არ მოზელს.

გასათვალისწინებელია გამოწვის ტემპერატურა და ხანგრძლივობა, რასაც ასევე ნაკლები ყურადღება ექცევა. უნდა აღინიშნოს, რომ ქვევრი იმდენად დახვეწილი ჭურჭელია, რომ მან დღემდე, მრავალი საუკუნის შემდეგ, თითქმის უცვლელად მოაღწია.

ქვევრებს, გარდა ღვინისა, იყენებდნენ ჭაჭის, მწნილეულის, ყველის, ერბოსა და მარცვლეულის შესანახად, მაგრამ, როგორც აღინიშნა, იგი მეღვინეობის ჭურჭელია და მისი შექმნაც საქართველოში ამ დარგის განვითარებამ გამოიწვია.

მუხის კასრი-მუხის კასრებში შენახულ ღვინოს განსაკუთრებული გემო და ხარისხობრივი მახასიათებლები აქვს. მუხის კასრი მხოლოდ ჭურჭელი არ არის — იგი ღვინის დავარგებაშიც მონაწილეობს, აუმჯობესებს ღვინის გემოს და აძლევს მას მეტ სიმტკიცეს. ამიტომ მას მართებულად უწოდებენ ტექნოლოგიურ ჭურჭელს. ძველად, ზოგიერთ ქვეყანაში, მუხის მასალის სიმცირის გამო, კასრებს წაბლის, წიფლის, თუთის, აკაციის, ნაძვისა და სხვა მასალისგან ამზადებდნენ, მაგრამ მათთან შედარებით, მუხის კასრის უპირატესობა უდავოა.

მუხის კასრის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია მუხის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. კასრისთვის მუხა უნდა შეირჩეს ფორიანობის, სტრუქტურის, პოლიფენოლებისა და არომატული ნივთიერებების მიხედვით. ამ ყველაფერზე კი გავლენას ახდენს მისი გეოგრაფიული წარმოშობა, ნიადაგის ტიპი, კლიმატი, ტყის სიხშირე და სხვ. უპირატესობა მშრალ, მთაგორიან ადგილზე მოჭრილ მუხას ენიჭება. იგი მკვრივი და წვრილფორიანია.დაბლობ ადგილზე მოჭრილი მუხის ხის მერქანი მსხვილფორიანი და ნაკლებად მტკიცეა, ძლიერ ჟონვადია და ბევრსაც იშრობს. კასრის დასამზადებლად განკუთვნილ მუხის მასალას ღია ცის ქვეშ, დაახლოებით ორ წელი აჸერებენ. იგი შრება, კარგავს არასასიამოვნო, მწარე გემოს და იძენს შესანიშნავ სურნელს. შესაძლებელია, მუხის მასალის ფარდულში გაშრობაც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მასალის ელექტროღუმელში, დაჩქარებული წესით გამოშრობა.

ღვინის კასრის შეღებვა დაუშვებელია — საღებავი ავსებს ფორებს და ზღუდავს მათში ჟანგბადის მოძრაობას, რაც აუცილებელი პირობაა ღვინის დავარგებისთვის. ცარიელი კასრების ღია ცის ქვეშ შენახვა არ შეიძლება, რადგან ასეთ შემთხვევაში კასრი გამოშრება, დაკარგავს ჰერმეტულობას და მალე დაიშლება. იმისათვის, რომ ცარიელ კასრებში შენახვისას ობის გამომწვევი სოკო არ განვითარდეს, მათ თვე-თვენახევარში ერთხელ უნდა ჩაუბოლდეს გოგირდი, რის შემდეგაც კასრს უკეთდება საცობი.

გასათვალისწინებელია, რომ კასრის გამოსარეცხი წყალი უნდა იყოს აუცილებლად სუფთა და სასმელად ვარგისი. ღვინის შესანახი ხის ჭურჭელი ძნელი მოსავლელია, რაც შრომატევადია და მოითხოვს ზედმიწევნით ცოდნასა და გამოცდილებას, რის გამოც ბევრმა მეღვინემ მის გამოყენებაზე უარი თქვა. თუმცა, ასეთ ჭურჭელში დაყენებული ღვინის განსაკუთრებული ხარისხის გამო, კასრების გამოყენების პრაქტიკა თანამედროვე მეღვინეობაში სულ უფრო და უფრო ფართოვდება. გოგირდის ჩაბოლება რეკომენდებულია ასევე მინის ჭურჭელშიც .მიუხედავად იმისა, რომ მინის ჭურჭელი შენახვისა და გამოყენების მხრივ ძალზე პრაქტიკულია, ჰიგიენის წესების დაცვა აქაც მნიშვნელოვანია. სუსტ წერტილს წარმოადგენს მინის ჭურჭლის ხრახნიანი თავსახური, რომელსაც ხშირად უჩნდება თვალით ძნელად შესამჩნევი ბზარი, რომელიც, შესაძლოა გახდეს ღვინის გაფუჭების მიზეზი.

მარანი და მისი ჰიგიენა-მარანი წარმოადგენს როგორც ღვინის შესანახ, ასევე, მის დასადუღებელ და დასამუშავებელ ადგილს. მარანი უნდა იყოს გრილი, მას უნდა ჰქონდეს კარგი სავენტილაციო სისტემა და, სასურველია, საკანალიზაციო გაყვანილობები. იმისათვის, რომ მარანში მიღწეულ იქნეს ტექნოლოგიური პროცესებისათვის სასურველი ტემპერატურა (14-15 გრადუსი) და ჰაერის სასურველი ფარდობითი ტენიანობა (75-85 %), მას ხშირად მიწის სიღრმეში აშენებენ, სარდაფის კედლებსა და ჭერს ჰიგიენისთვის კირით ათეთრებენ, რაც შესანიშნავი ანტისეპტიკური საშუალებაა სარდაფში მავნე მიკროორგანიზმებისა და ობის გამომწვევი სოკოების საწინააღმდეგოდ. თუმცა, არსებობს ეგრეთ წოდებული „კეთილთვისებიანი ობი“, რომლის გაჩენას სარდაფის კედლებზე ზოგიერთი მეღვინე მიესალმება კიდეც.ყურძნის კრეფიდან, ვიდრე დაღვინებისა და შენახვის პროცესამდე, ღვინის მწარმოებელმა ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რათა შეინარჩუნოს ღვინის პოტენციური ხარისხი. ყურძენი იქნება ეს, ტკბილი, დურდო თუ ღვინო, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას მათი დაავადება, ზადისა და არასასიამოვნო გემოს წარმოქმნა, მომხმარებლისთვის საშიში ნივთიერებებისა თუ მიკროორგანიზმების გაჩენა. ამისათვის კი საჭიროა, რომ ყურძნის გადამუშავების ადგილზე მოისპოს ყოველგვარი პათოგენური მიკროორგანიზმებისთვის ხელსაყრელი პირობები, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ინერტული ჭურჭელი, რომელიც არ დასცემს ღვინის ხარისხს, არ შესძენს მას უსიამოვნო გემოს და არ გაამდიდრებს ღვინოს ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებებით.საერთოდ, მეღვინეობაში, რაც უფრო ახლოა პროდუქტი საბოლოო სახესთან, მით უფრო მკაცრდება მოთხოვნები ჰიგიენის მიმართ. ჭურჭლის გარეცხვა და დეზინფექცია საჭიროა რთვლის დასაწყისში, მისი მიმდინარეობისას და დასასრულს.

ჭურჭლისა და ინვენტარის რეცხვის ზუსტი, დადგენილი ნორმა არ არსებობს — ტარა-ჭურჭელი და მევენახეობა-მეღვინეობის ინვენტარი ირეცხება იმდენჯერ და მანამ, სანამ არ მიაღწევენ სასურველ შედეგს. მარანში მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი გასარეცხად მიუდგომელი და წყლის დაგუბების ადგილები. ჭურჭელს ღვინის ქვა აუცილებლად უნდა მოშორდეს მისი ყოველი დაცარიელების შემთხვევაში.საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ძლიერ მოქმედი და ამავე დროს ჭურჭლის მიმართ ინერტული, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო უნივერსალური სარეცხი საშუალება არ არსებობს, რადგანაც სიბინძურის წყარო და მისი ქიმიური ბუნება შეიძლება სხვადასხვა სახისა იყოს, მაგალითად: ორგანული, მინერალური, პირველადი ნედლეულის ნარჩენი ნაწილაკები, მტვერი, და სხვადასხვა სამუშაოებისაგან დარჩენილი ნარჩენები. აღსანიშნავია, რომ რეცხვა-დეზინფექციის პროცესი სასურველ ეფექტს მხოლოდ სუფთა გარემოში, სუფთად მუშაობის დროს იძლევა.

საქართველოში ტრადიციისამებრ, საპატიო სტუმარს კარგი ღვინით უმასპინძლდებიან. კარგი ღვინის დაყენებას კი ცოდნა, გამოცდილება და საქმის სიყვარული სჭირდება. გაითვალისწინეთ ამ სტატიაში მოცემული რეკომენდაციები და თქვენს მიერ დაყენებული ღვინო არ შეგარცხვენთ.

„ღვინოს უთქვამს, მომიარე და მოგივლიო“ — მხოლოდ გულმოდგინე და წესიერი მოვლით დგება უზადო და საღი ღვინო!

**მოამზადა ია გიგიაშვილმა**

**წყარო:** agrokavkaz.ge

# მეცნიერები და ექიმები გვირჩევენ, გვაფრთხილებენ, გვთავაზობენ



## მცენარე, რომელიც ყველა დაავადებას კურნავს !

ფოტოს თუ დააკვირდებით, ეს მცენარე პურსლეინია (დანდური) და იგი ერთადერთი მცენარეა, რომელიც არსებული დაავადებების უდიდეს ნაწილს კურნავს.

ეს მცენარე პირველად სპარსეთში ანუ დღევანდელ ირანში აღმოუჩენიათ, თუმცა მაშინ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმისა, რომ ამ მცენარესთვის კიბოს განკურნება დიდ წინააღმდეგობასაც კი არ წარმოადგენდა. ერთ-ერთი მთავარი პლიუსი ისაა, რომ პურსლეინს ვერ ნახავთ, რომელიც გენმოდიფიცირებულია, რადგან ის არ საჭიროებს რაიმე მოდიფიცირებას, რომლითაც მოახერხებს სხვა პირობებში გაზრდას, რადგან ის იზრდება ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ კლიმატში.

პურსლეინი მდიდარია ასევე ვიტამინ C და , ის ამავდროულად შეიცავს ორი ტიპის ბეტალაინ ალკალოიდის პიგმენტებს, ყვითელ ბეტა-ანტისს და წითელ ბეტა-კიანის, ეს ორივე პიგმენტი ორგანიზმის არაჩვეულებრივი დეტოქსიკანტია.

ამერიკელი და შვედი მეცნიერების მტკიცებით, ეს მცენარე კიბოსაც კი კურნავს და მას კიდევ ბევრი მძიმე დაავადების განკურნება შეუძლია.



## მეცნიერთა ახალი აღმოჩენა თავის ტვინის სიმსივნის სამკურნალოდ

მეცნიერებმა მიაკვლიეს პრეპარატს, რომელსაც შეუძლია შეზღუდოს გლიობლასტომის — თავის ტვინისა და საზოგადოდ, ცენტრალური ნერვული სისტემის ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული ფორმის სიმსივნის გავრცელება. პროპენტოფილინი ძლიერ დარტყმას აყენებს TROY–ცილას, რითაც აფერხებს კიბოს განვითარება-გავრცელებას. პრეპარატი აგრეთვე ზრდის ქიმიოთერაპიული საშუალების — თემოზოლომიდისა და რადიოთერაპიის ეფექტურობას. როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, პროპენტოფილინი ამცირებს სიმსივნურ უჯრედებთან TROY–ცილის ექსპრესიას, აფერხებს სიმსივნური უჯრედების ჯანსაღ ქსოვილებში ჩაზრდას და უფრო მგრძნობიარეს ხდის მათ მკურნალობისადმი. გლიობლასტომებს, ჩვეულებრივ, ქირურგიული მეთოდით მკურნალობენ, თუმცა, კიბოს ამ ფორმის დროს სიმსივნური უჯრედებისაგან სრულად განთავისუფლება ვერ ხერხდება.

სიმსივნე მეტად აგრესიულია და აქტიურად იზრდება მეზობელ ქსოვილებში. შესაბამისად, დამატებითი მკურნალობის გარეშე რეციდივი ძალიან სწრაფად ვითარდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავის ტვინის დაავადებების, მათ შორის სიმსივნური პათოლოგიების მკურნალობაში ერთ-ერთ ძირითად პრობლემას ქმნის ჰემატოენცეფალური ბარიერი. ის იცავს ტვინს როგორც პათოგენური, ასევე სხვა ტიპის გარე კომპონენტების შეღწევადობისაგან. აქედან გამომდინარე, პრობლემა ექმნება სამკურნალო პრეპარატებსაც.

უამრავი მედიკამენტისგან განსხვავებით პროპენტოფილინი გადის ჰემატოენცეფალურ ბარიერს და ამასთან მინიმალური გვერდითი ეფექტებით გამოირჩევა.

## როგორ დაამარცხა კიბო 78 წლის პენსიონერმა



78 წლის პენსიონერ ალან ტეილორს, ექიმებმა ნაწლავის სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. მას გაუკეთდა ოპერაცია, რომლის დროსაც ქირურგებმა ნაწლავის ნაწილი ამოკვეთეს. ამის შემდეგ კი ქიმიოთერაპიის სამთვიანი კურსი ჩაუტარეს. თუმცა რამოდენიმე თვის შემდეგ კიბო წვრილ ნაწლავზეც გავრცელდა. სიმსივნე ერთი ადგილიდან ამოკვეთის შემდეგ, სხვა მიდამოში ჩნდებოდა, ქიმიოთერაპიამაც აზრი დაკარგა.

ოთხი თვის შემდეგ, ტეილორის ორგანიზმი სრულად გასუფთავდა ონკოლოგიური დაავადებისგან. კიბოს დამარცხება მოხერხდა დიეტის შეცვლით. მან სრულად შეცვალა წითელი ხორცი და რძის პროდუქტები უმი ხილითა და ბოსტნეულით. რაციონში ასევე შევიდა ცხელ წყალში გახსნილი 1 ჩაის კოვზი დაფქვილი ქერი, გარგარის კურკა, ქერისა და სელენის შემცველი დანამატები. კვების აღნიშნული რეჟიმი პენსიონერმა სოციალურ ქსელში აღმოაჩინა.

## რატომ ჩნდება პირის ღრუში უსიამოვნო სუნი და როგორ მოვიშოროთ იგი

ჰალითოზი (უსიამოვნო სუნი პირის ღრუდან) ეს ის მტკივნეული თემაა, რომელიც შეიძლება გახდეს პიროვნების დაბალი თვითშეფასების, სოციალური, ემოციური და ფსიქოლოგიური პრობლემების მიზეზი. ხშირად ჰალითოზს დაავადებულები ვერ გრძნობენ, რადგან ეჩვევიან ამ სუნს, მაგრამ გარშემომყოფებისთვის ეს შეუმჩნეველი ნამდვილად არ იქნება. მაშასადამე, თუ გსურთ გაიგოთ გაქვთ თუ არა ჰალითოზი, ჩაიტარეთ ერთი მარტივი ტესტი: აიღეთ სუფთა ბამბა და დაიდეთ ენის შუაგულში, დაანესტიანეთ ნერწყვით და შემდეგ დაყნოსეთ, თუ შეიგრძნობთ არასასიამოვნო სუნს, ეჭვი გამართლებულია და თქვენ გაქვთ ჰალითოზი.პირის ღრუში ბინადრობს 120-ზე მეტი სახეობის სხვადასხვა მიკროორგანიზმი, რომლებიც იმალებიან „კბილის კარიესებში“, კბილებშუა უბნებსა და პირის ღრუს სხვადასხვა ადგილებში. არასწორი ჰიგიენის დროს ეს მიკროორგანიზმები სწრაფად მრავლდებიან, რაც ხელს უწყობს ჰალითოზის გამოწვევას. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა სტომატოლოგთან ვიზიტი, ვინაიდან ერთ-ერთი მიზეზი ამ დაავადების გამომწვევი, შესაძლოა ღრძილების დაავადებაც გახდეს. გარდა ამისა კი, ჰალითოზის მიზეზი ასევე შეიძლება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ცხვირხახის, დიაბეტის, თირკმლის, ღვიძლის და ფილტვების პათოლოგიები იყოს.უსიამოვნო სუნი ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს ზოგიერთი მედიკამენტის მიღებით, რომელიც ამცირებს ნერწყვის გამოყოფას (ანტიდეპრესანტები, ანტიჰისტამინები, ფსიქოტროპული, ნარკოტიკული, ანტიჰიპერტენზიული საშუალებები). გარდა მედიკამანტების გავლენისა კი უსიამოვნო სუნის გამომწვევი ფაქტორი შეიძლება უბრალოდ პირის სიმშრალე იყოს, ამიტომ ამ დროს მიზანშეწონილია მინერალური წყლის მიღება, რაც გაიძულებთ შეინარჩუნოთ სინოტივე პირის ღრუში, ან დაღეჭოთ უშაქრო საღეჭი რეზინი პიტნის ექსტრაქტით, რადგანაც ის ასტიმულირებს ნერწყვის გამოყოფას.უმეტეს შემთხვევაში ჰალითოზის ძირითადი წყარო პირის ღრუში მდებარეობს, კერძოდ კი ენის ზურგის უკანა ნაწილში, რომელიც უხვადაა „შემოსილი“ ხაოებით და „დასახლებულია“ ბაქტერიებით. მათ შორისაა გრამ-უარყოფითი ანაერობული ბაქტერიები, რომელიც შლიან გოგირდის შემცველ ამინომჟავებს და წარმოქმნიან სპეციფიკური სუნის მქონე აქროლად გოგირდოვან ნაერთებს.როგორ მოვიქცეთ ამ უსიამოვნო სუნის თავიდან ასაცილებლად?გაიხეხეთ კბილები დღეში ორჯერ აუცილებლად ჯაგრისის წრიული მოძრაობით და ამავდროულად გაიწმინდეთ ენა სპეციალური საწმენდით. კბილის პასტა აუცილებელია იყოს მცენარეული შემცველობის. ხშირად ღეჭეთ უშაქრო, მენთოლის შემცველი საღეჭი რეზინი, განსაკუთრებით კი ჭამის შემდეგ, ვინაიდან ნარჩენებს და ნადებს მოგაცილებთ კბილებსა და კბილებს შორის სივრციდან და აუცილებლად გამოიყენეთ კბილების საწმენდი ძაფი. გამოივლეთ პირის ღრუში მცენარეული — ევკალიპტის, გვირილის და სხვათა სავლებები. სუნის დასახშობად ასევე ეფექტურია ვაშლის, სტაფილოს და ახალ დაყენებული მაგარი ჩაის, ოხრახუშის, ტარხუნის მირთმევა.

თუკი პირის ღრუში ყველაფერი წესრიგშია და სუნი მაინც არის, თერაპევტთან ვიზიტის დროა. დიაგნოსტიკით გაირკვევა ჰალითოზის გამომწვევი ნამდვილი მიზეზი და დაინიშნება მკურნალობა. ჰალითოზი არაა დაუძლეველი პრობლემა, მისი შენიღბვა სხვადასხვა არომატული საშუალებებით კი არაა გამოსავალი. მთავარია მოიძებნოს მიზეზი და სწორად შეირჩეს მკურნალობის ტაქტიკა.



## რატომ მალავენ კიბოს გამომწვევ მიზეზებს?

ნობელის პრემიის ლაურეატმა ოტო ვარბურგმა კიბოს გამომწვევი მიზეზი დაადგინა, მაგრამ მისი გახმაურებისაგან დღესაც თავს იკავებენ. დოქტორმა ვარბურგმა კიბოს აღმოცენების შესწავლას მთელი სიცოცხლე მიუძღვნა. იგი მე-20 საუკუნის ერთ-ერთი წამყვანი ბიოლოგი და უდიდესი მეცნიერი გახლდათ. მან აღმოაჩინა, რომ კიბოს წარმოქმნის უპირველესი ფაქტორი ორგანიზმში მჟავიანობის ცვლილებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ გარემოს მჟავიანობა, კერძოდ, ორგანიზმის pH დონე ნორმის 7,365 ქვემოთაა. ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, ვარბურგმა დაასკვნა: დაბალი pH-ის (6,0) დონეზე რძის მჟავა წარმოიქმნება და იზრდება $CO_2$-ის კონცენტრაცია, რაც, თავის მხრივ, იწვევს სიმსივნური უჯრედების ზრდასა და აქტივაციას.ვარბურგი დარწმუნებული იყო, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი (დამოკიდებულება) ჟანგბადის მოლეკულათა შენარჩუნებასა (რაც ჯანმრთელი უჯრედების ცხოველმყოფელობას უზრუნველყოფს) და pH დონეს შორის. რაც უფრო მაღალია ორგანიზმის pH დონე (რომელსაც აქვს ტუტე რეაქცია), მით უფრო მაღალი იქნება ჟანგბადის მოლეკულათა კონცენტრაცია და პირიქით. 1931 წელს დოქტორმა ვარბურგმა მედიცინის სფეროში ამ მნიშვნელოვანი და საკაცობრიო აღმოჩენისათვის ნობელის პრემია მიიღო. მან უმნიშვნელოვანესი რამ განაცხადა: „სიმსივნური ქსოვილები მჟავე უჯრედებია, მაშინ როცა ჯანმრთელი ქსოვილები ტუტე უჯრედებითაა წარმოდგენილი“. წყლის მოლეკულა წყალბადის დადებით იონად (კათიონად) და ჰიდროქსიდ-ჯგუფის უარყოფით იონად (ანიონად) დისოცირდება, ამასთან წყალბადის იონების სიჭარბე მჟავე რეაქციაზე მიუთითებს, იონების სიჭარბე კი ტუტე რეაქციას შეესაბამება.სიმსივნურ უჯრედთა მეტაბოლიზმის სფეროში ჩატარებული კვლევების საფუძველზე ვარბურგმა ასეთი ვერსია გამოთქვა: „სიმსივნის ყველა ფორმას ორი ფაქტორი ახასიათებს — აციდოზი და ჰიპოქსია (ჟანგბადის უკმარისობა, ე.წ. ჟანგბადოვანი შიმშილი). სწორედ ეს ორი თანმხლები ფაქტორი წარმოადგენს მედლის ორ მხარეს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სადაც შეინიშნება ერთი ფაქტორი, იქვე განისაზღვრება მეორეც. ყველა ჯანმრთელ უჯრედს ესაჭიროება ჟანგბადით გაჯერება, მხოლოდ სიმსივნურ უჯრედებს შეუძლიათ უჟანგბადოდ განვითარება, ეს არის სიმსივნური, უგამონაკლისო წესი. საკმარისია ჟანგბადის მიწოდება სულ35 %-ით შევუმციროთ ჯანმრთელ უჯრედებს 48 საათის განმავლობაში, რომ ისინი სიმსივნურ უჯრედებად გარდაიქმნება (გადაგვარდება)“.ვარბურგმა ნათელი მოჰფინა იმას, რომ კიბოს აღმოცენების მთავარი მიზეზი ჟანგბადის ნაკლებობაა, რომელიც, თავის მხრივ, მჟავე გარემოს ქმნის ორგანიზმში. უდიდესმა მეცნიერმა ისიც დაადგინა, რომ სიმსივნური უჯრედები ანაერობები (ჟანგბადის „სუნთქვა“ არ უყვართ) არიან და არ შეუძლიათ არსებობა ჟანგბადის მოლეკულათა მაღალი კონცენტრაციის პირობებში. ეს უკანასკნელი კი ტუტე რეაქციის დომინირებისას შეინიშნება.

რატომ მალავენ სიმსივნური პათოლოგიის ამ მეცნიერულად დასაბუთებულ და მრავალი კვლევით გამყარებულ პათოგენეზს? რატომ არ არის რეალური მიდგომა სიმსივნური დაავადებისადმი და რატომ არიდებს თავს კლასიკური მედიცინა კიბოსთან ბრძოლის სწორი სტრატეგიის შემუშავებას? ამ კითხვებზეც არსებობს პასუხები, თუმცა ეს სხვა სტატიის თემაა...

mkurnali.ge

## კიბოს საწინააღმდეგო ვაქცინა — რეალურია?!

მაინცის უნივერსიტეტის მკვლევარებმა კიბოს საწინააღმდეგო უნივერსალური ვაქცინა წარმატებულად გამოსცადეს. ის უკვე დაიტესტა თაგვებსა და მოხალისეების მცირე ჯგუფზე. კვლევა ჯერ არ დასრულებულა, თუმცა მიღებული შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ ვაქცინაციამ გაააქტიურა იმუნური სისტემა და სიმსივნესთან ბრძოლა. ამასთან, სიმსივნეს ლოკალიზაციას მნიშვნელობა არ აქვს. ვარაუდობენ, რომ ასეთ ვაქცინას კიბოთი დაავადებულ ადამიანებს გაუკეთებენ. თითოეული პაციენტისთვის ვაქცინა ინდივიდუალურად შეიქმნება დაავადებულის სიმსივნის უჯრედებიდან აღებული რნმ-ის გამოყენებით.

ასეთი ვაქცინის დამზადება ძალიან სწრაფად მოხდება და ფასიც არ იქნება მაღალი. ახალი მეთოდიკა შეიძლება პაციენტის იმუნური უჯრედების მოდიფიკაციის ალტერნატივა გახდეს, რომელიც საკმაოდ

დიდ დროს მოითხოვს. მეცნიერებმა წარმატებულად გამოსცადეს ვაქცინა თაგვებზე. ერთი ინექცია საკმარისი აღმოჩნდა, რომ ორგანიზმი შებრძოლებოდა აგრესიულად მზარდ სიმსივნეს. ვაქცინა ასევე გაუკეთდა მელანომით დაავადებულ სამ პაციენტს.

ჯერჯერობით ეს კლინიკური კვლევის პირველი ეტაპია, რომლის მიმდინარეობისას ირკვევა ვაქცინის უსაფრთხოება და არა მისი ეფექტურობა. მკვლევარებმა უკვე დაადგინეს, რომ ვაქცინას პაციენტები კარგად იტანენ, მაგრამ დაკვირვება კიდევ ერთი წელი გაგრძელდება.

ლალი ჩხიკვაძე

## 6 კომპონენტისგან შექმნილი უნიკალური სასმელი



წვენი სასარგებლოა მათთვის, ვინც სიმსივნეს ებრძვის, ან ამ დაავადების პრევენციისთცის. იგი დაგიბრუნებთ ენერგიას, აგიმაღლებთ იმუნიტეტს, ასუფთავებს სისხლს. მისი სმა მიზანშეწონილია მათთვის, ვინც ქიმიოთერაპიას იკეთებს. ერთადეთ, ერთადერთი მისი უარყოფითი თვისება ის არის, რომ გემრიელი არ არის. თუ გრძნობთ დაღლილობას, ენერგიის ნაკლებობას, მუდმივად ხართ დეპრესიულ მდგომარეობაში, ეს წვენი თქვენთვისაც სასარგებლოა.

**დაგჭირდებათ:** 1 კილო ჭარხალი; 1 ცალი ლიმონი; 500 გრამი სტაფილო; 3 ცალი ფორთოხალი; 3 ცალი ვაშლი; 1 კილო თაფლი.

**მომზადება და გამოყენება:** გარეცხილი და გასუფთავებული ჭარხალი, სტაფილო, ფორთოხალი, ლიმონი და ვაშლი დააბლენდერეთ. შეურიეთ თაფლი, მოურიეთ, სანამ ერთგვაროვან მასას არ მიიღებთ.

წვენი მაცივარში შეინახეთ და დალიეთ ყოველდღე, უზმოზე ნახევარი ჭიქა. შედეგს 10 დღის შემდეგ იგრძნობთ.

# გარემოს დაცვის სამინისტრო გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის წესებს აქვეყნებს



20 აგვისტოს გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონი იწყება. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ნადირობისას აუცილებელ წესებს აქვეყნებს.

პირი, რომელიც გადამფრენ ფრინველებზე ნადირობს, ვალდებულია თან იქონიოს: გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი), ღირებულება 10 ლარი. ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული სანადირო თოფის შენახვისა და ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია საქართველოს ნებისმიერ ბანკში, მიმღები ბანკი: ბანკის დასახელება: სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: თლშ22

ანგარიშის ნომერი: ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბიუჯეტის შემოსულებების სახაზინო კოდი: 3 0077 3033; საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელი ოთხნიშნა ციფრი (ამ შემთხვევაში 0077 აღნიშნავს თბილისს) განსხვავებულია თვითმმართველი ერთეულის შესაბამისად.

ნადირობა აკრძალულია: სახელმწიფო ნაკრძალებში და ეროვნულ პარკებში და მათ გარშემო 500-მეტრიან ზონაში; საქართველოს ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში.

აკრძალულია გადამფრენ ფრინველებზე ნადირობისას შემდეგი მეთოდების გამოყენება: მცენარეული საფარის დაწვა; გარეულ ფრინველთა კვერცხის შეგროვება და გაყიდვა; ყოველგვარი კუსტარული ან ქარხნული წესით დამზადებული ბადეებით (გარდა დამჭერი მტაცებელი ფრინველების ნებადართული მოპოვების შემთხვევებისა), ხაფანგებით, მარყუჟებით, აგრეთვე ორმოებით, სარეგვავებით (სარეჯგველების), ხმოვანი სიგნალების გამომცემი ელექტრონული (მათ შორის, ავტონომიურ კვების წყაროზე მომუშავე) მოწყობილობების მეშვეობით ფრინველის მოზიდვა; საწამლავით, სანადირო იარაღზე დამონტაჟებული რეფლექტორებით, ასაფეთქებელი საშუალებების გამოყენებით, თოფებისა და სხვა თვითმსროლელი იარაღების დაგუშაგება; ღამით განათებული ფარებისა და პროჟექტორების მეშვეობით, დევნა სატრანსპორტო საშუალებებით, წყალმცურავ ფრინველებზე ნადირობა ძრავაგამოურთველი მოტორიანი ნავებიდან და კატერებიდან (მოპოვება დევნით), ასევე ნადირობა ღამის ცეცხლის დანთებით; მთელი წლის განმავლობაში აკრძალულია ხმოვანი სიგნალების გამომცემი ელექტრონული (მათ შორის, ავტონომიურ კვების წყაროზე მომუშავე) მოწყობილობების მეშვეობით ფრინველის მოზიდვა (გარდა სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისა).

ნადირობისას დაშვებულია: მონადირე ძაღლების გამოყენება; მონადირე ძაღლების წვრთნა (დაგეშვა) მთელი წლის განმავლობაში ნადირობისათვის დაშვებულ ტერიტორიებზე. (პირი, რომელიც ნადირობისათვის აკრძალულ ვადებში, ახორციელებს მონადირე ძაღლის წვრთნას (დაგეშვას), ვალდებულია სანადირო იარაღში იქონიოს მხოლოდ დაუმუხტავი ვაზნები). სანადიროდ გაწვრთნილი მტაცებელი ფრინველების გამოყენება, ამ ფრინველის ფლობის კანონიერების დამადსტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში.

ნადირობა დაშვებულია შემდეგი სანადირო იარაღების გამოყენებით:

ა) სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი (თოფი);

ბ) სანადირო ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღი (კარაბინი ან შაშხანა);

გ) სანადირო კომბინირებული ცეცხლსასროლი იარაღი (ხრახნილლულიანი და გლუვლულიანი თოფი);

დ) სანადირო ცივი და ცივი სასროლი იარაღი;

ე) სანადირო პნევმატური იარაღი.

ნადირობის წესების დარღვევად ითვლება: ნადირობა შესაბამის დოკუმენტების გარეშე, აგრეთვე, აკრძალულ ვადებში, აკრძალულ ადგილებში, აკრძალული მეთოდებით, მოწყობილობებით და იარაღით.

ნადირობის წესების დარღვევაზე გათვალისწინებულია როგორც ადმინისტრაციული ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომები; ამასთან, გარეული ფრინველის უკანონოდ მოპოვების შემთხვევაში, საჯარიმო თანხას ემატება გარემოსათვის მიყენებული ზიანის თანხაც.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები გათვალისწინებულია ასკ 86-ე და 893-ე მუხლებით; სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომები გათვალისწინებული სსკ 301-ე მუხლით.

ნადრობის სეზონი 2017 წლის 01 მარტამდე გაგრძელდება.

## იყიდება ბინა

**ქ. ყვარელში სასწრაფოდ იყიდება სახლი ბელეტაჟით: ფართი 160 კვადრატული მეტრი, სარემონტო, ეზო — 1200 კვადრატული მეტრი, ხეხილით. ფასი შეთანხმებით. ტ.555 43 51 01, დათო.**

# ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობას ემადლიერებიან

ჩემი ინიციატივით რჩეულიშვილის ქუჩაზე მცხოვრებმა მოსახლეობამ იმის გამო, რომ მთელ ქუჩაზე მოდიოდა ნიაღვარი, მას მოჰყვებოდა ნაგავი და თითქმის შეუძლებელი იყო ქუჩაზე ფეხით მოსიარულეთა მოძრაობა, თხოვნით მივმართეთ ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობას, იქნებ დაეწყოთ სანიაღვრე არხის მშენებლობა.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა ილია მზექალაშვილმა და ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, ბატონმა ოთარ ბუჯიაშვილმა ჩვენი თხოვნა უყურადღებოდ არ დატოვეს და სანიაღვრე არხის მშენებლობა განახორციელეს, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდით მათ და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს.

**პატივისცემით მერი პატარქლიშვილი**

# გისურვებთ ბედნიერ, წარმატებულ და გაბრწყინებულ მომავალს

იცნობდეთ, ეს მათე ბალიაურია, — წმიდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის მე-5 კლასის მოსწავლე. მათე იუბილარია, ათი წლის გახდა, არის გიმნაზიის წარჩინებული მოსწავლე, უყვარს კითხვა, ხატვა და მისთვის მთავარი ჰობი პოეზიაა. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მკითხველისთვის მისი ლექსები. მათე, ჩვენი გაზეთით გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ, რომ პოეზია ყოფილიყოს შენი ცხოვრების გზამკვლევი. გფარავდეს უფალი.



**ყვარელს**

ყვარელში ვცხოვრობ, გავხედავ მთებსა, იმ მთებში ვხედავ, ვხედავ სიყვარულს.

ბურსა რომ მოდის თავისთვის, ხედავს ტყესა და ველსაო.

გაფრენილ მტრედებს რომ ხედავთ, გული გიწუხსო მეტადო,—

აქ დაიბადა ილია, კოტე და დაგვიტოვეს ქვეყნად რწმენაო.

**ბავშვობა**

ბავშვობა ჩემი ია-ვარდია,
ბავშვობა ჩემი სიყვარულია,
ეს ხომ სინათლის თეთრი სხივია,
ბავშვობა, ეს ხომ სანატრელია.

**დურუჯი**

მისი ხმაური აღვიძებს
პატარა ქალაქს მზიანსო,
ხან ტკბილად მოედინება,
ხანაც ძალიან მკაცრადო;

ხან ისე გააფთრებულა,
რომ ხალხი წაულიაო,
შავ კლდის წვერიდან მომავალს
მას დურუჯს ეძახიანო.

**ყვარელო**

ყვარელო, ჩემო ყვარელო,
ჩემო მშობელო ქალაქო,
როცა ვიძინებ სულ მიმღერს
ბურსა მშობლიურ ნანასო.

**ვაზო**

ვაზო ყველასგან ქებულო,
შემოხვეულო ჯვარსაო,
მარიამისგან დაწნულო,
მთავარო ყოველთათაო.

**ქვევრო**

ქვევრო ღიპ გადმოგდებულო,
გალეშილი ხარ ღვინითა,
შენ გევლებიან ქართველნი,
დიდი განძი ხარ მათთვისა.

# მერაბ გიგილოშვილის ხსოვნას

ამ ბოლო დროს ისე გახშირდა სიკვდილიანობა, რომ თითოეული ჩვენთაგანი შოკში ვვარდებით, ვეღარ იტევს ჩვენი გულები ამდენ ტკივილებს და მწუხარებას. ამის გამო, ადამიანების ცხოვრება გაუფერულდა და ინტერესი დაკარგა, რამეთუ სიკვდილის ყველას გვეშინია და არ ვიცით ვის როდის მოგვიწევს იმქვეყნიურ სასუფეველში გამგზავრება. ამასთან ერთად, ვკარგავთ ახლობელ ადამიანებს, ვისთან ერთადაც ცხოვრების დიდი ნაწილი გავიარეთ და მრავალმხრივი კეთილი მოგონებები გვაკავშირებს.

სამოცდაშვიდი წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი, ოჯახისთვის, მეგობრებისთვის ყოველთვის მხარში მდგომი პიროვნება მერაბ შოთას ძე გიგილოშვილი.

მერაბი დაიბადა 1948 წელს ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში. აქვე დაამთავრა შილდის საშუალო სკოლა, ხოლო 1973 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მუშაობის დაწყება მას მოუწია ყვარლის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში მთავარ ინჟინრად, შემდგომ კი დააწინაურეს დირექტორის თანამდებობაზე. სამასკაციან კოლექტივში, სადაც უმრავლესობას ქალები წარმოადგენდნენ, უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა და თვალსაჩინო წარმატებებიც სახეზე იყო. მისი საქმიანობით ზემდგომი ორგანოები კმაყოფილი იყვნენ და დედაქალაქში გადაჰყავდათ მაღალი რანგის თანამდებობაზე, მაგრამ ავტოავარიამ მისი ცხოვრება დიამეტრიულად შეცვალა და საგარეჯოს შრომა-გასწორების კოლონიაში მოუწია ყოფნა.

მაგრამ აქაც გამოიჩინა თავი და საქართველოში ერთ-ერთი უმძლავრესი აგურის გამომშვები ქარხნის ცეხის უფროსად დააწინაურეს, სადაც მან დიდხანს იმუშავა და უამრავ პატიმარს გაუწია დახმარება, რათა სასჯელის მოხდის პერიოდში მათი ყოფა-ცხოვრება გაუსაძლისი არ ყოფილიყო.

მერაბი იყო განათლებული, კოლორიტი, ვაჟკაცობით, ღირსებით, თავმდაბლობით, კახური ხელგაშლილობით, სტუმარმასპინძლობით, შრომისმოყვარეობით განსაკუთრებულად გამორჩეული პიროვნება.

ბოლო წლებში მერაბი სოფელს დაუბრუნდა და სოფლის მეურნეობაში დასაქმდა. მოამრავლა ცხოველები, გამოაკეთა ვენახში არსებული მდგომარეობა და ოჯახსაც დაეტყო გამრჯე მეურნის ხელი. საუბედუროდ აღარ დასცალდა რთველი ეზეიმა.



მერაბ გიგილოშვილმა უდიდესი სითბო და სიყვარული დატოვა თავის ტკბილ ოჯახში, სანათესაოში, უამრავ ნაცნობმეგობრებში, თანასოფლელებში.

იმედად ისღა დაგვრჩენია, რომ მერაბის სული ზეცაში ამაღლდება და სასუფეველს დაუმკვიდრებს უფალი.

მსუბუქი იყოს მის გულზე დაყრილი მშობლიური მიწა.

**ოჯახი, ახლობლები, მეგობრები**

# ძველი ავტომობილი თუ ჯანსაღი გარემო?

სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა იყოს ისეთი, რომ რაც შეიძლება ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო, ახალი და ნაკლებადდაზიანებული ავტომობილით განახლდეს ავტოპარკი – ამის შესახებ საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტმა, შალვა ოგბაიძემ, რადიო ფორტუნას პირდაპირ ეთერში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივის შეფასებისას, განაცხადა. უწყების ინფორმაციით, ახალი ავტომობილების აქციზის გადასახადი დაიკლებს, ხოლო ძველ მანქანებზე, პირიქით, მოიმატებს.

როგორც ოგბაიძემ აღნიშნა, ადამიანს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, 13-14 წლის ასაკის, 8-10 ათასდოლარიანი ავტომობილის შეძენა, მას უნდა მიეთითოს, რომ, სჯობს, იმავე ფასად, ახალი ავტომობილი იყიდოს.

„სამწუხაროდ, საქართველოს ავტოპარკის განახლება, ხშირ შემთხვევაში, ხდებოდა ძალიან ძველი ავტომობილებით. ახალი ავტომობილების განბაჟებამ მოიკლო, ხოლო ელექტრომობილების განბაჟება საერთოდ ნულია. დღეს რომ ვინმემ შეიძინოს ელექტრომობილი, საბაჟოზე არცერთი თეთრის გადახდა არ მოუწევს. არასამთავრობოები ვცდილობთ, ჰიბრიდულ ავტომობილებზე დაბეგვრის განსაკუთრებული რეჟიმი გავრცელდეს. კონკრეტულად, ჩვეულებრივთან შედარებით, ჰიბრიდულის განბაჟება განახევრდეს“ – განაცხადა შალვა ოგბაიძემ.

საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, დედაქალაქში ავტომობილის გამონაბოლქვი არის 96 პროცენტი, რაც ყოველ წელს იწვევს 9500-10000 ახალი ავადმყოფის მიმართვას ონკოლოგიურ საავადმყოფოში.

„ეს ნიშნავს ბევრ ბავშვში სისხლის გათეთრების ნიშნების, ანემიისა და რესპირატორული დაავადებების გაჩენას. ამიტომ ჩვენთვის პრიორიტეტი უნდა იყოს ოჯახის წევრების ჯანმრთელობა“ – განაცხადა ოგბაიძემ

საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა უნდა გაგრძელდეს და დამტკიცდეს ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც, ერთი მხრივ, არ დააზარალებს საშუალოშემოსავლიანი მოქალაქეების ინტერესს და, მეორე მხრივ, უნდა წახალისდეს ახალი ავტომობილების შეძენა.



# გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი

## კარლო (კალე) სეფაშვილი

### ვეცდებით გავაგრძელოთ შენს მიერ არჩეული გზა



უჩვეულოდ მძიმეა უშენობით გამოწვეული სიცარიელის ატანა. შენ ხომ დიდი ვაჟკაცი, ალალი, უტყუარი ქართველი და სამშობლოს დიდი პატრიოტი იყავი. შრომა იყო შენთვის უპირველესი მოვალეობა, რათა ოჯახი წელში გამართული ყოფილიყო. სადაც კი საპასუხისმგებლო თანამდებობებზე გიმუშავია, ყველგან დატოვე დიდი ავტორიტეტი და კოლეგებში სიყვარული. პროფესიონალი აგრონომი, კარგი ხელმძღვანელი — ასეთად გიცნობდნენ თანამშრომლები, თანამემამულეები, შენი მეგობრები. ბევრი კარგი მეგობარი და უახლოესი ადამიანები წავიდნენ ცხოვრებიდან, რომელსაც შენ მწარედ განიცდიდი.

შენთვის უჩვეულო იყო ღალატი, ორპირობა. ასე იცხოვრე და ასე ასწავლე შენს შვილებს, შვილიშვილებს. კარგი შთამომავლობა დატოვე შენს ნაამაგარ ოჯახში — საოცრად ლამაზი, ჭკვიანი, კეთილშობილი შვილიშვილები. მოესწარი ნიას სტუდენტობას, ამაყობდი ნინის წარმატებით და ბოლო გამოცდის ჩაბარებაც გაიგე, თამთაც მალე დადგება დიდი ცხოვრების გზაზე.

მჯერა ყოველთვის ილოცებ მათი კეთილდღეობისათვის, შენი ოჯახისათვის და ძალიან ბევრი ადამიანისათვის, ვისთვისაც კარგი პაპა და ბიძა იყავი.

ვეცდებით გავაგრძელოთ შენს მიერ არჩეული გზა, რომელიც სამშობლოსათვის თავდადებას და ოჯახის აღორძინებას ისახავდა მიზნად. შენ ყოველთვის ჩვენს გვერდით იქნები. არასოდეს დაგვავიწყდები ღირსეულო ქართველო, ღირსეულო ყვარლელო და უბრალოდ კარგო, ალალო კაცო.

უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

**ოჯახისაგან**

### მთლიანი ცხოვრების გზა მან ვაჟკაცურად განვლო

ამ დღეებში კიდევ ერთი გამორჩეული და სულიერად მდიდარი ვაჟკაცი მიიბარა ყვარლის მიწამ. 40 დღე გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ იმყოფება უსამართლობასთან დღენიადაგ მებრძოლი ვაჟკაცი კარლო (კალე) სეფაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ მან 73 წლის მანძილზე სამაგალითოდ იღვაწა და თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

კარლო სეფაშვილი დაიბადა 1943 წელს ქ. ყვარელში, 1960 წელს დაამთავრა ყვარლის საშუალო სკოლა, ხოლო 1968 წელს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მავენახეობის ფაკულტეტი სწავლული აგრონომის სპეციალობით. აქედან იწყება მისი საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრების გზა.

ამავე წელს, მუშაობას იწყებს ქინძმარაულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ბრიგადირად. მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ახალგაზრდა მალევე დააწინაურეს აგროგანყოფილების უფროსად, ხოლო შემდგომ მთავარ აგრონომად. 1980 წელს ინიშნება გავაზის კოლმეურნეობის მთავარ აგრონომად, სადაც მისი ორგანიზატორული და პროფესიული ნიჭის წყალობით ყურძნის არნახულ მოსავალს იღებდნენ და საჰექტარო მოსავლიანობით პირველობას არავის უთმობდნენ ყვარლის რაიონში. სწორედ ამის გამო იგი 1986 წელს საბუის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დანიშნეს და მეურნეობა ეკონომიკური მაჩვენებლებით საუკეთესო გახდა სოფლის მეურნეობის ყველა სფეროში.

კარლო იყო მაღალი საზოგადოებრივი შემართების ადამიანი, უღალატო მეგობარი, უზომოდ მოსიყვარულე და პატრიოტი.

მისი პლეადის ადამიანებს კარგად გვახსოვს, თუ როგორი ფიზიკური მონაცემებით გამოირჩეოდა თანატოლებში. განსაკუთრებული სიძლიერისა და გაბედულების გამო გაურბოდნენ მასთან ფიზიკურ დაპირისპირებას. იგი თავის ბუნებრივ ჯილდოს მოხერხებულად იყენებდა სუსტი აღნაგობის მქონე ადამიანების დასაცავად.

ბატონი კარლო, უდავოდ კოლორიტი ადამიანი იყო, უყვარდა ახლობლებთან და მეგობრებთან ქეიფი და დროსტარება. ღორის „ქელეხებსაც" სამაგალითოდ იხდიდა და მის ბუხართან ხშირად გვიგემია სანაქებო პურმარილი. ხშირად იპატიჟებოდა ჭაჭის გამოსახდელ „ზაოდში" საქეიფოდ. ჭაჭის პატრონს როგორი უხვი პურმარილიც არ უნდა მოეტანა, ტრადიციულად, ის მაინც შემოამატებდა პროდუქტებს საკუთარი დოვლათიდან.

ძნელია წერო მასზე წარსულში, იმდენად ენერგიული იყო, სიცოცხლით სავსე, მუდამ სადღაც მიიჩქაროდა, ყველაფრის მოსწრებას ცდილობდა, გულიანად აკეთებდა საქმეს და მისი მოყვანილი ყურძენი, ბოსტნეული და ბაღჩეული ყოველთვის გამოირჩეოდა გემოვნებითა და ხარისხით.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთლიანი ცხოვრების გზა მან ვაჟკაცურად და შეუცდომლად განვლო. იყო არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა, შვილიშვილებისთვის საუკეთესო პაპა. სამეგობროს ძალიან დაგვაკლდი ბატონო კარლო, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია სანუგეშოდ, რომ ხშირად გაგიხსენოთ და ვილოცოთ შენი სულის საცხონებლად.

უფალს შევთხოვთ სამოთხეში დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი. კურთხეულ იყოს შენს სახელზე ანთებული ყველა სანთელი!

**მეგობრების სახელით**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

## დათო ხახუტაშვილის მონატრება



ერთი ტკივილიანი წელი გავიდა, მას შემდეგ რაც შილდაში აღარ დააბიჯებს ჭკვიანი, კეთილი, უწყინარი, შრომისმოყვარე კაცი დავით ხახუტაშვილი. დათო პაპა, ყველას გვაკლიხარ, ძალიან გვენატრები, ხშირად მოვალთ შენს საფლავზე, დაგინთებთ სანთლებს. უფალმა ცათა სასუფეველში დაგიმკვიდროს ბინა, ჩვენო საყვარელო პაპა.

**შვილიშვილები:**
**დავითი, მარი, დიანა, ნატო**

შპს „მედია-ცენტრის" თანამშრომლები მწუხარებაში თანაუგრძნობენ ყოფილ ბუღალტერს ნორა ოთარიშვილს ძმის **თენგიზ კიკილაშვილის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ეკა სეფაშვილი; ძმები ვეფხო, დათო ჭამიაშვილები; მამიდა ელიკო, მამიდაშვილები სეირანი, იზო, თეო შიშნიაშვილები; ცოლისძმა გელა სეფაშვილი, რძალი ნინო ფანჩულიძე; სიდედრი ქეთინო რუსიაშვილი; ცოლისძმისშვილები ოთო, ლევანი, ქეთია; რძლები ანა ბარათაშვილი, მაგდა კირვალიძე, სიძე ზვიად ახალაია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **კახაბერ (კახა) ჭამიაშვილი**. დაკრძალვა 23.VII. ყვარელში.

## რამინ ლომსაძე



81 წლის ასაკში ყვარლის საზოგადოებამ საბოლოო გზაზე გააცილა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ძიუდოში, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი სამბოში, საქართველოს სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში, ესოდენ ტიტულოვანი პიროვნება, ჩვენი თანამემამულე რამინ ლომსაძე.

მრავალი მედალი, სიგელი, დიპლომი თუ პრიზი მის დამსახურებაზე მეტყველებდა. უნდა აღინიშნოს, რომ სპორტულ მიღწევებზე დიდი გავლენა იქონია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სპორტულმა კათედრამ. ეს ის წლები იყო, როცა საერთოდ სტუდენტებისთვის სპორტული მაჩვენებლები დიდად ფასობდა. ახლადჩარიცხულმა სტუდენტმა მალევე მიიპყრო ჭიდაობის სპეციალისტთა ყურადღება, — გამოდიოდა სამბოში და ქართულში. 1955 წელს „ბურევესტნიკის" საკავშირო პირველობაზე გამოსულმა სპორტსმენმა ტოლი არ დაუდო აღიარებულ სამბისტებს და პირველ წარმატებასაც მიაღწია, — დაიკავა მეორე ადგილი. იგივე შედეგს მიაღწია 1960 წელს საბჭოთა კავშირის სტუდენტთა სპარტაკიადაზე; იგი ყოველთვის დიდი მონდომებით ეუფლებოდა სპორტს, — ყოველდღიური ვარჯიშით იყო დაკავებული და შედეგებსაც აღწევდა, — 1961 წელს საბჭოთა კავშირის პირველობაზე სამბოში დაიკავა პირველი ადგილი და სპეციალური პრიზიც დაიმსახურა. ასეთივე შედეგი მან გაიმეორა 1963 წელს „ბურევესტნიკის" საკავშირო პირველობაზე. მოგებული ჰქონდა საქართველოს პირველობები 1961-1962 წლებში გამართულ სპორტულ შეჯიბრებებზე, — თბილისისა და საქართველოს პირველობებზე ექვსჯერ მოიპოვა პირველი ადგილი, მათ შორის ვეტერანებში. მის სპორტულ კარიერას ეკუთვნის რეკორდი ქართულ ჭიდაობაში ბათუმში გამართულ საქართველოს პირველობაზე 1963 წელს — შვიდივე შეხვედრა (საერთო ჯამში) მოიგო 55 წამში. 1982 წელს რამინ ლომსაძეს გადაეცა საპატიო სიგელი ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციისგან ქართული ჭიდაობის აღორძინებასა და განვითარებაში გაწეული დიდი ღვაწლისათვის.

ბოლო წლებში აქტიურ სპორტში ვეღარ მონაწილეობდა, მაგრამ თავის მდიდარ გამოცდილებას დიდი მონდომებით გადასცემდა ყვარლის სპორტული სკოლის ნორჩ მოჭიდავეებს და ყოველთვის მათ გვერდით ტრიალებდა.

დასანანია ის, რომ რამინმა, ალბათ სპორტზე გადაყოლილმა და შეყვარებულმა ვერ შექმნა ოჯახი. მისი ერთადერთი ერთგული და მასზე უზომოდ შეყვარებული დედა იყო, რომელიც რამდენიმე წლის წინ მიაბარა მიწას. მარტოდ დარჩენილს ჯანმრთელობაც ღალატობდა, ავადმყოფობას არ ეპუებოდა და საზოგადოებაში ტრიალებდა. ჯიბეში ყოველთვის ჰქონდა „ხუთკაპიკიანი" შოკოლადები და შენდამი პატივისცემასაც ყოველთვის ამით გამოხატავდა. ხშირად რედაქციაშიც შემოგვივლიდა და თავის სპორტულ მიღწევებზე გვესაუბრებოდა. იყო ალალი და ყვარელზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება. ჩვენო რამინ, გჯეროდეს, რომ ყვარელი, მისი მაცხოვრებლები, შენი კოლეგები არასოდეს დაივიწყებენ ერთ დროს მართლაც კარგი ავტორიტეტის და ღირსეულ სპორტსმენს რამინ ლომსაძეს. იქნებ მეტი დაფასება სჭირდებოდა საზოგადოების მხრიდან სპორტში მიღწეულ შენს წარმატებებს, მაგრამ... მთავარია ის, რომ შენ ძლიერი მოჭიდავის სახელი დაუტოვე შენს მშობლიურ რაიონს, — შენი სახელის უკვდავსაყოფად კი ესეც საკმარისია. ნათელი ედგეს შენს სამუდამო სასუფეველს.

**გაზეთ „ყვარლის" რედაქცია**

## ჩემი ნათლია



ჩვენ ვიბადებით ჩვენი ნების გარეშე და ვტოვებთ ამ წუთისოფელს ჩვენი სურვილის გარეშე...

ჩვენს ხიცოცხლეს უზენაესი წყვეტს, სიცოცხლის წლებსაც უზენაესი გვიბოძებს...

ჩვენ რა შეგვიძლია?!

ვიბადებით, ვცხოვრობთ, ვებრძვით ამ ცხოვრებას, ვიღწვით შვილებისათვის, რასაც ვქმნით მათთვის გვიხარია და მათი შთამომავლისათვის, ამით ვსულდგმულობთ. მთავარია ადამიანმა მთელი ცხოვრება პატიოსანი და მართალი ცხოვრებით გაატაროს.

ასე იცხოვრა ჩემმა სულიერმა მშობელმა, ნათლიამ, ტრისტან ქოქიაშვილმა. ის ჩემთვის მართლაც მეორე მამა იყო, მისი ოჯახი — ჩემი მეორე ოჯახი, ხალხი, რომლებიც გვერდით მედგნენ სიხარულში და განსაცდელში... ამ ოჯახმა უსაზღვრო სითბო და სიყვარული გაიღო ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის... ეს კაცთმოყვარე ადამიანი დაუზარელი იყო დიდისთვისაც და პატარისთვისაც, გულთან მიჰქონდა ყველას წუხილი და რაც შეეძლო იხარჯებოდა ბოლომდის თავდაუზოგავად და უანგაროდ.

ჩემი ნათლია, ჩემი საყვარელი ტრისტანი ნათლია!

ხელოვანი ადამიანების ბუნება ყოველთვის უჩვეულოა სხვებისგან განსხვავებით. ადვილი არ არის მათ სულში ჩაწვდომა და დანახვა, ამოცნობა. მათი ხედვა, მრწამსი, იდეალიზმი, თუ რეალიზმი, ადამიანებისაგან და ცხოვრებისაგან მოლოდინი სხვაგვარია, უბრალო, სადა და თან რთული, გასაგები და თან რთულად გასააზრებელი, რა უნდათ მათ, რას ითხოვენ, ზოგჯერ არ გვესმის, მაგრამ... ნანამ, მისმა თანამგზვრმა, შეძლო და თავიდან ბოლომდე ისეთი მიიღო ეს ხელოვანი, როგორიც იყო და უყვარდა, უყვარდა უსაზღვროდ. ბოლოს და ბოლოს, მათ ხომ ერთად, მართლლაც ერთი უღლის ქვეშ შეფარებულებმა, გალიეს მძიმე, დაუნდობელი წუთისოფელი და არასოდეს მიუტოვებია თავისი მეუღლე... ვუყურებ მას, ჩემს დედობილს და გული მეწვის. მათი ოჯახური სიტკბოება და სიყვარული ჩემთვის ბავშვობიდანვე სამაგალითო იყო და როცა ოცნებამ გაიღვიძა ჩემში, ვოცნებობდი, ასეთი ერთგული და უბერებელი, გაუხუნებელი და ძლიერი სიყვარულით მყვარებოდა და ვყვარებოდი...

ანა დაა ჩემი და გელა თავისი ოჯახით ჩემთვის უსაყვარლესი ხალხია. ახლა ამ ხალხის თავზე შავი ღრუბელია თავმოყრილი, ადვილი არ არის სამუდამო განშორება, როდესაც ვეღარ იხილავ ყოველდღიურად საყვარელ სახეს, თვალებს, ვეღარ გაიგონებ იმედისმომცემ, მანუგეშებელ საყვარელ ხმას, თბილად რომ წარმოსთქვამს შენს სახელს და ამ სითბოდან უკვე იღვრება უსაზღვრო სიყვარული...

წევს ახლა სასახლეში და მხოლოდ სურათიდან გვიღიმის, რაღაცის თქმას ლამობს, გაჩერებული წამია, როცა ჯერ კიდევ ჰაერით სუნთქავდა და ცოცხლობდა, სიხარულს გრძნობდა და გეგმებს აწყობდა...

... სამძიმრის ხალხი კი წავა-წამოვა, ყველა თავისი ცხოვრებით განაგრძობს გზას. ოჯახის ახლობლები კი ერთად შეიკრიბებიან და უკვე წარსულში დაიწყებენ მის გახსენებას, მოგონებებს მიეცემიან და შესანდობარს მიირთმევენ, ცოტა წითელ ღვინოსაც დააქცევენ, საკურთხს გასცემენ მის სახელზე, ყველაფრის გაცემა დაიწყება, მიაგებოსო... და ესეც გვანუგეშებს...

ვითომ გვანუგეშებს?!

სინამდვილეში კი თვალებიდან უძირო სევდა გამოიხედება და გულს გაგიპობს... ისარივით გაგერჭობა გულში ეს მზერა დარჩენილი საყვარელი ადამიანებისაგან და სიტყვებსაც ვერ მოძებნი ამ წუხილის სანუგეშოდ...

შევალ მისგან დაცარიელებულ სახლში, ჩავჯდები სავარძელში, მიმოვიხედები და კარისკენ გამექცევა თვალი, აი, საცაა შემოვა თხელი, ჭაღარა კაცი, შემოვა დაღლილი, მაგრამ მომღიმარი, იუმორის გრძნობითაც მომიყვება თავის გულისტკივილზე. ვუსმენ მას. მინდა გავიზიარო მისი პრობლემა და ასე მიყვება, მეღიმება, თან მრცხვენია, რა არის აქ სასაცილოვო, მაგრამ... ასეთი იყო, ძლიერი, სირთულეებისთვისაც ჰქონდა იუმორი და იმედით შეჰყურებდა მათ მოგვარებას...

ხო, აი, ისევ იმ სავარძელში ვზივარ მათთან და დავინახე, როგორ შემოვიდა ღია კარში, სამზარეულოსკენ გასწია, იქ ნანას მომზადებული გემრიელი კერძები და ნამცხვრები ეგულება, შვილებს და შვილიშვილებს მოეფერება... უნდა გამოვტყდე, შვილიშვილები გამორჩეულად უყვარდა და დიდ იმედებსაც ამყარებდა მათზე.

ჩემი ნათლია, ჩემი საყვარელი ტრისტანი ნათლია!

ახლაც ყურში მიდგას მისი ხმა, სიცილი, გულღია და ალალი საუბარი, გახსნილი იყო, როგორც ცა და სუფთა, როგორც კამკამა წყარო. ისეთ სიტყვას იტყოდა, ახლიდან დაიბადებოდი და თუ წაქცეული იყავი, უმალ ფეხზე დაგაყენებდა...

ენატრებოდა თავისი გელა, ძალიან ენატრებოდა, შორეულ გზაზე გადახვეწილი...

სიგიჟემდე უყვარდა თავისი ანა, პატარა ქალბატონი...

მიატოვა ეს წუთისოფელი, თუმცა ბოლომდე ებრძოდა სიცოცხლეს, იმედსჩაბღაუჭებული. სარეცელზე მიჯაჭვული ვინ იცის გონების გამოუთქმელი ენით რას აღარ შესთხოვდა ჩვენს შემოქმედს, საყვარელ უფალს, მისი არაერთი სახლი, ღვთის ტაძარი, რომ მრავალგზის მოურთავს თავისი ნაკეთობებით...

იტანჯებოდა... ძლიერ იტანჯებოდა...

ძნელია სულიერი ტანჯვა... მაგრამ, ღმერთი წყვეტს! იქნებ ამგვარი გზით საბოლოოდ განწმინდა იგი, რათა დაამკვიდრებინოს ცათა სასუფეველი,

სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი"... — მე ასე მწამს.

ასე მჯერა, რომ ყველა მოვლენას თავისი ახსნა აქვს, თავისი საფუძველი, უბრალოდ არაფერი ხდება და რაც ხდება, განზომილია, მოწყალეა უფალი, მას ჩვენთვის ნეტარება და სრული ბედნიერება სურს! ის ცხოვრება კი დაუსრულებელია, მარადიულია! უფალი სულია და სულით მივყავართ თავისთან, როცა განგვაშორებს ამქვეყნიურ ამაოებას.

ჩემი ნათლია, ოქროსხელება კაცი, მომენატრება ძლიერ!

ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი წლები — სიყმაწვილე და ახალგაზრდობა ამ ოჯახში გავატარე...

სტოვებს ამ წუთისოფელს, მაგრამ ის ჩემთან რჩება, ჩემს ფიქრებთან, მოგონებებთან, გრძნობებთან, რჩება თავისი შემოქმედებით და მასზე ისინიც მომიყვებიან, კიდევ უფრო მეტს იტყვიან, მეტს გამოხატავენ, რადგან თითოეული ჩუქურთმა, ნივთი და ნახატები მისი შვილები არიან და დიდი სიყვარულით აქვს შექმნილი...

**ეკატერინე ავაზაშვილი**

# ასეც ხდება-უნდა დამარცხდე, რომ გამარჯვების სიდიადე სრულად შეიგრძნო



შემოქმედებითი წერა ადამიანისთვის ბედისწერაა. მწერლობის პრეტენზია კი მხოლოდ გამორჩეულთა ხვედრია, რადგან ადამიანს უნდა შეეძლოს თვითშეფასების ობიექტური განსჯა. ნებისმიერი მაქსიმალურად მიჩნეული ნაღვაწი შეიძლება სხვათათვის ღიმილის მომგვრელი აღმოჩნდეს. სწორედ ამგვარი განცდა მეუფლება მოთხრობის გამოქვეყნებით, რადგან ეს პატარა ღამეული ნაშრომი მკითხველის განსჯის საბაბი გახდება.

მოთხრობის შექმნის იდეა ჩემმა პატარა მეგობარმა, ნიკა გურინმა, „შემომაპარა“. ნიკა დაუსრულებლად მიყვებოდა ავთანდილ ჭრიკიშვილისა და მისი ოჯახის შესახებ. ნიკასთვის ყველაფერი ავთანდილით იწყებოდა და მთავრდებოდა. ვგრძნობდი, რომ ნიკასთან ერთად მეც ჭრიკიშვილის გულმხურვალე ფანი ვხდებოდი. ერთ უძილო ღამეს სიტყვა სიტყვას აება, აზრი და გრძნობა წარსულს გადასწვდა, იწერებოდა პატარა მოთხრობა და თვალწინ მედგა ალგეთელი მგლის ლეკვი, მტკიცე გამოხედვით, ვაჟკაცური შემართებითა და საოცრად სუფთა ბავშური თვალებით.

ასე დაიწერა ეს პატარა თხზულება, რომლითაც ჩვენს მომავალ თაობას ზნე და გარჯა შევუქე, წინაპართა ნაღვაწი შევახსენე და მომავლის საპასუხისმგებლო გზა დავუსახე.

* * *

იბრძოლე გამარჯვებისთვის!

—სად არის, სად არის, სად არის?! — ბიჭი ნერვიულად აღებდა და კეტდა კარადის უჯრებს. ათრთოლებული ხელები მოძრაობდა საგანგებოდ დალაგებულ თეთრეულში და სრულ ქაოსს ტოვებდა. ამაოდ დაიღალა ბიჭი ძებნით, სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. მაგრამ იმედის გაცრუებას არ ემორჩილებოდა.

კარი ვიღაცამ ჭრიალით შეხსნა და მშვიდი ნაბიჯებით ოთახის სიღრმისკენ წავიდა. ბიჭმა მკაცრად შეხედა ქალს და თავი დახარა.

— მე მხოლოდ ერთი ნივთის შენახვა გთხოვე, შენ კი სწორედ ის დაკარგე, ეთერი ბებო..

— არ დამიკარგავს, დამიჯერე, არ დამიკარგავს შვილო.

— აბა, ის მაინც მითხარი, სად შეიძლება კიდევ მოვძებნო? — ჭირვეულობდა ბიჭი.

— ქალმა უაზროდ მოატარა თვალი ოთახს და მზერა სარკმელზე შეაჩერა. — ახლა რა რიცხვია? — იკითხა ყრუდ .

— 23 მაისია, ბებო, ამას აქვს შენთვის მნიშვნელობა?

— ალბათ, კი.

— მინდოდა თილისმა წაგეღო თან, — ქალმა თავი დახარა და დიდ ხანს იდგა მდუმარედ, ცრემლი მკერდზე ეცემოდა. ქალი ტიროდა.

ბიჭს შეებრალა ბებია, მაგრამ ნაბიჯს ვერ დგამდა, გათვალულივით იდგა ერთ ადგილზე. ტირილი მოუნდა ისე, ბავშვობაში როგორც ტიროდა, როცა დაცემისგან ძვლები სტკიოდა. გაახსენდა პაპა, ასეთ დროს შუბლს შეიკრავდა, თითს მაღლა ასწევდა და სასამართლოს საბოლოო განაჩენივით ხმამაღლა წარმოთქვამდა:-

„კაცები არ ტირიან, ისინი ჩუმად, გულში იცრემლებიან!“ ბიჭმა ღრმად ამოისუნთქა, ნერწყვი გადაყლაპა, იმედი გადაწურა ნერწყვთან ერთად, სწრაფად შეტრიალდა და ოთახიდან გასვლა დააპირა. დაიხარა, სკამზე გადაკიდებული კიმანო აიღო, ჩანთაში დაუდევრად ჩადო და ბოტასებს დაუწყო ძებნა. უცბად მხარზე ხელის შეხება იგრძნო, მოიხედა, ეთერი ბებო დაინახა, რომელსაც სახეზე ორაზროვანი გამომეტყველება აღბეჭდოდა. ბებო ჩურჩულებდა, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა.

— მე სულელმა გაგანერვიულე, ახლა გამახსენდა, მედალიონი ჩემს ნივთებთან ერთად შევინახე.

ცოტა ხნის შემდეგ ბიჭმა დაინახა ბებიას ხელის გულში მოქცეული მედალიონი. თითები ისე მოეკუმშა თითქოს ეშინოდა, წყალივით არ დაქცეულიყო ნივთი. ბიჭი იდგა და დაჰყურებდა ვერცხლისფერ მედალიონს, რომელზეც გამოსახული იყო თამარის დროშა და ქვეშ ეწერა: „თავისუფალი საქართველო!“

* * *

ახლადშეუღლებულ წყვილს ვარსკვლავიანი ცის ყურება და ოცნება იტაცებდა. ეთერი აკვანში მძინარე ბავშვს დედამთილს უტოვებდა და სამსახურიდან მომავალ მეუღლეს, ავთანდილს, გზაში ხვდებოდა. მიუყვებოდნენ გზას და ისე შემოეპარებოდათ სიბნელე, ვერც კი იგებდნენ. იმ საღამოსაც ფერდობზე მდგარი ნეკერჩხლის ხის ძირშიშეყუჟულებმა თვალი გაადევნეს ჰორიზონტს და ჭაბუკს უნებურად სევდა მოეძალა. ეთერი დიდ ხანს ეხვეწა ავთანდილს, გაემხილა სევდის მიზეზი. ჭაბუკმა ხელი გაიშვირა სამხრეთით, თითქოს მოტიტვლებულ მინდორს მიაბჯინა საჩვენებელი თითი და ამბის მოყოლა დაიწყო.

— ეთერ, ჩვენს ქვეყანას რა არ გადაუტანია, მაგრამ ის, რაც 1925 წელს მოხდა აქ, ჩვენს სოფელში, ადამიანთა სისასტიკეს სცილდება.

— აი, იმ მინდორს ხედავ? იმ პატარა მონაკვეთში ყვავილი კი არა სარეველა ბალახი არ ამოდის, იმ ადგილს ჩვენი სოფლელი გლეხები ნაკალოვარს უწოდებენ. იცი, — რატომ? მინდა იცოდე, რომ დიდი პაპა ლევან ჭრიკიშვილი ნოე ჟორდანიას პირადი მცველი ყოფილა. 1921-ში პირადად გააცილა ნოე და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წამომადგენლები ბათუმში. დამშვიდობებისას ვაჟკაცურად გადაკოცნეს ერთმანეთი ქვეყნის პირველმა კაცებმა და მისმა ერთგულმა მცველმა. ნოემ ჯიბიდან მედალიონი ამოიღო, ლევანს გაუწოდა და უთხრა: „ეს საქართველოს თავისუფლების სიმბოლოა,ის აქვე უნდა დარჩეს, სამშობლოში, არ დაკარგო, გადაეცი შთამოავლობას, რათა ჩენი ქვეყნის მომავლისათვის ბრძოლის იდეა ცოცხლობდეს მუდამ!“ ლევანი სოფელში დაბრუნდა მამა-პაპის კერაზე. ფიზიკურად ძლიერმა და ჭიდაობაში დაუმარცხებელმა ვაჟკაცმა ოჯახი ფეხზე დააყენა, მაგრამ გული მაინც ვერ დააჯერა, რომ საქართველო ვერასდროს დაიბრუნებდა თავისუფლებას. ჭიდაობას მონატრებულ ვაჟკაცს შეუკრებია კუნთმაგარი თანასოფლელები და 1925 წლის 26 მაისს, ძველი დიდების აღსანიშნავად, იმ ადგილას (თითი გაიშვირა), ჭიდაობა გაუმართავს. მოჭიდავეთა შორის იყო ბოლშევიკური მთავრობის კომისარი, მან ჭიდაობაში დამარცხება ვერ აიტანა, სახალხო კომისარიატს აცნობა, — ჭრიკიშვილმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ხალხი შეყარა, აჭიდავა და პოლიტიკურად დამოძღვრაო.

მეორე დღეს ფინალი იმართებოდა. მოჭიდავეებმა მისალმებაც ვერ დაასრულეს, რომ ატყდა რუსული თოფების სროლა. მოთიბეს ბიჭები, ხორბლის ლეწვას ჰგავდა ჯანმაგარი ბიჭების უძლური გაბრძოლება, მათ შორის იყო დიდი მოჭიდავე, გულმაგარი მამულიშვილი ლევან ჭრიკიშვილი.

იქვე გათხარეს მიწა რუსებმა და დახოცილები შიგ ჩაყარეს. სოფელში ერთი თოფიც არ გასროლილა. ხალხმა ამ ადგილს ნაკალოვარი უწოდა. ავთანდილმა დაასრულა მოყოლა, ერთ ამოიოხრა, მხრებზე მოსასხამი გაუსწორა და ეთერს უბიძგა ამდგარიყო, რადგან ღამდებოდა.

* * *

ზამთარს გაზაფხულის დამარცხება სურდა, თითქოს გამოსდიოდა კიდეც. მარტში ისეთი ყინვები დაიჭირა, ნაადრევად აბრიალებულ ტყემლებს ანანა თეთრი კაბის ჩაცმა, ყვავილი ფოთოლ-ფოთოლ გააცალა, ქარს გაატანა და მიწაზე თეთრად მოჰფინა. ხანდახან ბრაზმორეული მზე ჯიუტად დააჭერდა სხივებს დედამიწას და ზამთარს თავს ახსენებდა. აპრილი სულ გადაირია. ქარი თავშეკავებული ქალივით დააჯილღაობდა. როგორც იქნა მაისმა სითბო, სიმშვიდე მოუტანა დედამიწას წვიმებისგან გაჯერებული მიწა მაცდურად იწვევდა მზეს.

საკუთარი ოთახის ფანჯარასთან მიმჯდარი ბებია ეთერი, წარსულის მოგონებებში ჩაძირული, მღელვარებას იოკებდა, მშვიდდებოდა, უდიდეს ძალისხმევას ითხოვდა ის დღე მისგან. დიდი ავთანდილ ჭრიკიშვილის ანდერძი უნდა გადაეცა შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს შორის გამორჩეული ავთო ჭრიკიშვილისათვის, რომელიც დიდი პაპის გზას გაჰყოლოდა. ქალმა მკლავი მოღუნა, ფანჯრის რაფაზე დადო და თავი დააყრდნო, თვალები მილულა, თუმცა კვლავ ახალმა მოგონებამ დაიმორჩილა.

1956 წლის გაზაფხული თენდებოდა. სოფელმა ტრაქტორების გუგუნში გაიღვიძა. მიწას მუხლუხების ანაბეჭდი ემჩნეოდა. ატყდა გადაძახილი, ჟრიამული, შიშისფერმა ტკვივილმა სახეები დაუმანჭა თანასოფლელებს.

— ბიჭებო, მთავრობას ნაკალოვარის მოხვნა გადაუწყვეტია, იქ ჩვენი წინაპრების ძვლებია დამარხული, — ყვიროდა მიხა.

— ხალხო, არ მივცეთ მთავრობას უფლება მოხნან მიწა, თავი შევაკლათ! — ღრიალებდა სიკო.

სოფლის მოედანზე, ასწლოვანი მუხის ძირში, კაცი, ჭაბუკი, თუ ბიჭი დაბარებულივით მივიდა. თავჩაღუნული იდგა ავთანდილ ჭრიკიშვილი და შიგნით, გულში, ცრემლი ელვრებოდა. საკუთარი თავის გაწირვა ავთანდილს ყანის გამხმარ ჩალად არ ულირდა, მაგრამ ამბოხი არ შეიძლებოდა. სოფლის ორღობეს მიუყვებოდნენ კაცები და ნაკალოვრისკენ მიჰქონდათ ბოღმით სავსე გულები. ჩადგა რიგში ერთი ტრაქტორი, ახმიანდა მეორე, ის იყო მესამესაც უნდა გაეტარებინა ხნული, რომ უეცრად მეორე ტრაქტორი შედგა და კაბინიდან გაფითრებული მძღოლი გადმოვიდა.

— რას მაკეთებინებთ, თქვე ულმერთოებო, ვერ ხედავთ? ადამიანის ძვლებით გათეთრდა მიწა, — ყვიროდა ფერდაკარგული ტრაქტორისტი, ჩექმიანი ფეხით მიაპობდნენ ახლადმოხნულ მიწას სოფლელი კაცები. ადამიანის ძვლები ტყდებოდა მათ ფეხქვეშ. უცაბედად მიწიდან წამოსულმა მზის სხივის ანარეკლმა ავთანდილს თვალი მოსჭრა.. მიჰყვა ათინათს... დაიხარა და რკინის ფირფიტა შერჩა ხელში. მიწა შემოაცალა და გაჭირვებით ამოიკითხა მასზე ამოტვიფრული რამდენიმე ლამაზი ასო:“საქარ.“....მიხვდა ავთანდილი, რომ მამის, ლევან ჭრიკიშვილის მედალიონი ეჭირა ხელში, რაზეც ხშირდ ესაუბრებოდა დედა. გულმა უმტყუნა, მუხლები მოეკეცა და იქვე ჩაჯდა. რამდენ ხანს იყო ასე არ ახსოვს. ვიღაცის ხელის შეხებამ მოიყვანა გონს,ეს მისი მეზობელი დათია ხახანაშვილი იყო.

რაო, ავთანდილ, ვერ გაუძელი ჩვენი მამების საცოდაობას? ავთანდილმა თავი დაუქნია, წელში გაიმართა, მეზობელს დაუფიქრებლად გაუწოდა მამისეული მედალიონი და დედისგან მოსმენილი ნოე ჟორდანიას დანაბარებიც გადასცა. იმ ღამეს კაცებმა უხმოდ, ჩუმად მოკრიფეს ძვლები და ასევე ჩუმად ჩამარხეს სოფლის სასაფლაოზე. მის შემდეგ სოფელში უნდო მდუმარემ დაისადგურა. ყველა ერთმანეთს თვალით ზომავდა, შუბლს ჭმუხნიდა, თითქოს სურდათ გაეგოთ, ვინ გაიწირებოდა პირველი და ვინ გაწირავდა. ავთანდილმა საგულდაგულოდ გასუფთავებული მედალიონი მეუღლეს გაუწოდა და დაუბარა:

ეს მედალიონი ჩემს შვილიშვილებში მას გადაეცი, რომელსაც ღირსეულად მიიჩნევო.

ათი დღის შემდეგ ავთანდილი ჩეკას წარმომადგენლებმა შუაღამისას გაიყვანეს სახლიდან და დააპატიმრეს.

* * *

ჭრიკიშვილების ოჯახში საგანგებო ფუსფუსი იგრძნობოდა. უმცროსი ავთო ჭრიკიშვილი ორთაბრძოლისთვის ემზადებოდა, რუსეთის ცნობილ ძიუდოისტთან.

გამგზავრების წინ ეთერმა ქმრისგან ნაანდერძევი მედალიონი ათრთოლებული ხელით გადასცა შვილიშვილს.

ეს მედალიონი შენ გეკუთვნის, როგორც ყველაზე საუკეთესო ჭრიკიშვილს, დიდი პაპის ღირსეულ ბადიშს.ეს სიმბოლოა თავისუფალი საქართველოსი. დაუმარცხებელი ფალავანი არავის უნახავს,მაგრამ ერთს გეტყვი:იბრძოლე გამარჯვებისთვის და არასდროს დალაჩრდე სამშობლოსთვის ბრძოლაში.მუდამ თან ატარე ეს თილისმა,რათა საქართველოს სიყვარულსა და თავგანწირვაში გულის სიხარბემ არ დაგძლიოს.

ათლეტური აგებულების ვაჟს ხელში ეჭირა რკინის მასიური ფირფიტა და ცხადად ჩაესმოდა ხმა: „ეს საქართველოს თავისუფლების სიმბოლოა... ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის ბრძოლის იდია იცოცხლებს მუდამ!“ თვალწინ გაუელვა ავთოს გამარჯვების კვარცხლბეკზე მდგარი დიდი წინაპრების (დედის მხრიდან) კულა გლდანელისა და არსენ მეკოკიშვილის ფოტოებმა.

მედალიონი ჩაიდო პიჯაკის მარცხენა ჯიბეში... მკერდთან ახლოს... დაიხარა... ჩანთას დასწვდა, წელში გასწორდა, მარჯვენა ხელი მაღლა შემართა და ოჯახს უხმოდ გამოემშვიდობა.

* * *

იდგა გამარჯვების კვარცხლბეკზე ავთო ჭრიკიშვილი და ცრემლით დანამული თვალებით, კბილი კბილზე დაჭერილი ძლიერი ყბებით, გაშლილი მხრებითა და შეკრული მუშტებით ისმენდა საქართველოს ჰიმნს.

საქართველოსთვის განწირული წინაპრების სისხლი ავალებდა გამარჯვებას.

ქართული უტეხი სული ფრიალებდა დამარცხებულთა დროშაზე მაღლა.

P.S. დასრულდება რიოს მღელვარე ოლიმპიური თამაშები და თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ახლობლებთან, თაყვანისმცემლებთან ერთად ჩემი 8 წლის შვილიშვილი, ლუკაც დახვდება ქართველ სპორტსმენებს. მინდა დაინახოს ბავშვმა, რომ ხშირად დამარცხებულ გმირებს უფრო დიდი ოვაციით ხვდებიან ადამიანები, მათი კაცური, მოქალაქეობრივი თვისიბების გამო. ავთო ჭრიკიშვილის დედის სიტყვები მინდა გავიმეორე: „ოთხი წლით დაიგვიანა ავთოს ოქროს მედალმა“. ასეც ხდება, უნდა დამარცხდე, რომ გამარჯვების სიდიადე სრულად შეიგრძნო.

**სიყვარულით**
**ეთერ ხარებაშვილი**

# ფატმასურის მეურნეობის დასახლებას ველარ იცნობთ



ორიოდე დღის წინათ ფატმასურის მეურნეობის დასახლებაში შევიარე და გაოცებული დავრჩი. აქ არსებული მოძველებული ინფრასტრუქტურა კარდინალურად შეცვლილი დამხვდა. დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს სამშენებლო და კეთილმოწყობის სამუშაოები. რემონტდება შენობების ფასადები, ღვარგამშვებ არხებში მიმდინარეობს რკინა-ბეტონის ჩასხმა, ლამაზდება საცხოვრებელი სახლების კედლები, მალე დაიწყება ცენტრალური გზის მოასფალტებაც.

8 სექტემბერს, შპს „მეღვინეობა ხარებამ“ მასპინძლობა უნდა გაუწიოს მსოფლიო მნიშვნელობის ღვინის ფესტივალის მონაწილეებს და ამიტომაც ჩქარობენ კეთილმოწყობის სამუშაოების უმოკლეს დროში დამთავრებას.

**ალეკო ქაფიანიძე**



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86